გაზეთი ზევრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№72 (967) 7 - 8 ივლისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## „ოცნება" ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ამცირებს



გვ. 8

# დაჭერილ გიგი უგულავას პრემიერობისთვის ამზადებენ?



რატომ გაცვალა გიგიმ უფლის გზა პოლიტიკაზე და როგორ გახდა პატრიარქის სტიქაროსანი ნაცმოძრაობის რუხი კარდინალი

გვ. 3

## „წამებულის შოუ" და კულუარული ვერსიები

## ევრაზიის ინსტიტუტის „საიდუმლო სერობა" „ამბასადორში"

გვ. 4

ვინ არის არტურ ატაევი, რა მიზნით ჩამოვიდა თბილისში და რა კავშირი აქვს გუდბაათ რცხილაძეს რუსეთის დაზვერვის ყოფილ უფროსთან

**პატიმრის დღიური**

## ციხის კოლორიტ იოსკა ოზმანოვის ღიმილ-სევდიანი თავგადასავალი

## რა თანხას მოსთხოვს საქართველო ევროსასამართლოში დავაწაგებულ რუსეთს

## კოოპერატივების საერთაშორისო დღე საქართველოშიც აღინიშნა

ოფიციალური სტატისტიკით, ქვეყნის მასშტაბით, 100 კოოპერატივი დარეგისტრირდა

გვ. 7

## ოლეგ პანფილოვი: „ბატონებო, ევროპელები მხოლოდ ფაქსიმილეთი ვერ გახდებით!"



რატომ ეშინია „ოცნებას" ნაცმოძრაობისა და დაითხოვს თუ არა მარგველაშვილი პარლამენტს — რუსი ჟურნალისტის ქართული შეფასებები და პროგნოზები

გვ. 5

# რა თანხას მოსთხოვს საქართველო ევროსასამართლოში დავაწაგებულ რუსეთს




რუსუდან შელია
557-100-768

**საქართველომ რუსეთს სახელმწიფოთაშორის დავა მოუგო — სტრასბურგის სასამართლოს დადგენილებით, რუსეთმა 2006 წელს ევროპული კონვენციის არაერთი მუხლი დაარღვია, შესაბამისად, საქართველოსთვის კომპენსაციის გადახდა დაევალა. კომპენსაციის ოდენობაზე შესათანხმებლად კი, საქართველოსა და რუსეთის იუსტიციის სამინისტროებს 12-თვიანი ვადა მიეცათ. დეტალებზე „ვერსიას“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე ესაუბრება.**

— სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება ერთის მხრივ აჩვენებს, რომ ქართველ ხალხს უნდა ჰქონდეს რწმენა — სახელმწიფო მათ უფლებებს ბოლომდე დაიცავს, ხოლო მეორეს მხრივ, ევროპული ინსტიტუტის ეფექტური ქმედების ნათელი მაგალითია. მოგეხსენებათ, სტრასბურგის სასამართლო ე.წ. ევროპულ საჯარო წესრიგს ემყარება, რის ფარგლებშიც ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო — დადგენილიებაში ხაზი გაესვა, რომ რუსეთმა ქართველების ქვეყნიდან მასობრივად გამოძევებით ევროპული კონვენციის მესამე და მეხუთე მუხლები, ასევე მეოთხე ოქმის მეოთხე მუხლი. ქართულმა მხარემ სასამართლო პროცესზე 130 მოწმე წარადგინა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ყველასათვის მნიშვნელოვანია, ვინც დეპორტაციის მსხვერპლი გახდა.

**— სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხარეებს მოლაპარაკებისთვის 12-თვიანი ვადა მიეცათ, მაგრამ რუსეთი ვალდებულებების აღსრულებით არ გამოირჩევა. რა ბერკეტები აქვს იუსტიციის სამინისტროს, რომ რუსეთს კომპენსაციის გადახდა და სხვა სამართლებრივი ვალდებულებები აღასრულებინოს?**

— სასამართლო პროცესზე რუსეთის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, თუმცა გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კომენტარი არ გაუკეთებიათ. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს წმინდა იურიდიული პროცესია და სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რუსეთის ფედერაციასა და საქართველოსთვის როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მხარეებისთვის სავალდებულოა.

**— კი ბატონო, მაგრამ რომელ დამორჩილებაზე ლაპარაკობთ, როცა რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ თუ მისი მოქალაქეების უფლებებს ყოველდღე ლახავს?**

— მხედველობაში ის ვნებათაღელვა მაქვს, რაც რუსეთიდან ქართველების დეპორტაციას მოყვა და რასაც სტრასბურგის სასამართლომ ადეკვატური შეფასება მისცა. ახლა იურიდიულ პროცესში ვართ — სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია და მისი აღსრულება მნიშვნელოვანია.

**— გადაწყვეტილების აღსრულებამდე, კომპენსაციის ოდენობა და სამართლებრივი დაკმაყოფილება ქართულმა მხარემ უნდა განსაზღვროს. იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნები რუსეთისადმი ადეკვატური იქნება?**

— ჯერ ერთი, სტრასბურგის სასამართლომ მხარეებს მოსალაპარაკებლად 12-თვიანი ვადა მისცა. თუმცა სასამართლო, კონტროლის მექანიზმებს ყოველთვის იტოვებს. სიმართლე გითხრათ, ეს უფრო სპეკულაციის სფეროს განეკუთვნება, რადგან ჩვენ ყველა მიმართულებით ღია და კონსტრუქციულები ვართ. თანაც რამე მიუთითებს იმაზე, რომ დათმობაზე წავალთ? ახლა ვართ ეტაპზე, როცა პრაქტიკული შესრულების გზებზე უნდა ვიფიქროთ. ყველაფერი დროში გამოიკვეთება, მხარეებს 12 თვიანი პერიოდი ამიტომაც მოგვეცა. ვიმეორებ, ამ შემთხვევაში პროცესს პოლიტიკური კუთხით არ უნდა შევხედოთ, ეს სამართლებრივი გადაწყვეტილებაა, რადგან ადამიანის უფლებები დაირღვა. კომპენსაცია ევროპული კონვენციის გაგებით ადეკვატური და ეფექტური უნდა იყოს, თანაც ვისი უფლებაც დაირღვა, მან სრულად უნდა მიიღოს კომპენსაცია.

**— დაახლოებით, მაინც რა თანხას მოითხოვთ 2006 წელს ქართველების დეპორტაციისა და მათი უფლებების შელახვისთვის? ცნობილია, რომ კვიპროსმა მსგავს დავაში თურქეთისგან 90 მილიონი ევრო მიიღო.**

— ამ კონკრეტული მაგალითით ვერ ვიხელმძღვანელებთ და მართებული არც შედარება იქნება, რადგან სხვადასხვა გარემოება და დეტალი არსებობს. ყველაფერი, რა თქმა უნდა, დარღვეული უფლებების სიმძიმით განისაზღვრება, მაგრამ არითმეტიკული ნიშნების დასახელებისგან თავს შევიკავებ.

**— სტრასბურგის სასამართლოში საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი 2007 წელს შეიტანა, საქმის განხილვა კი 2012 წლის ივნისში დასრულდა. ახალ ხელისუფლებას ამ დავის წარმატებით დასრულებაში რა წვლილი მიუძღვის?**

— პრაქტიკა არაერთგვაროვანია. მაგალითად საქმეში „კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ“ (12.05.2014) სტრასბურგის სასამართლომ კომპენსაციის ოდენობა დაადგინა, თუმცა ყველა საქმე ერთმანეთისაგან განსხვავდება და მათზე ამ პრინციპების ავტომატურად განვრცობა არ შეიძლება. კომპენსაცია დაკავშირებულია დარღვეული უფლებების სიმძიმესთან, თუმცა ციფრების დასახელებისგან თავს შევიკავებ. ხელისუფლებამ მოქალაქეების უფლებების დასაცავად ყველაფერი გააკეთა. ჩვენ იმ ადამიანების წვლილზეც ვსაუბრობთ, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობდნენ. მეტიც, ადამიანთა ჯგუფი, რომელიც წინა ხელისუფლების დროს რუსეთთან სახელმწიფოთაშორის დავაზე მუშაობდა, დღემდე ჩემს დეპარტამენტშია.

ვერსიანიუსი

## გიორგი კვირიკაშვილი: „შევეცდებით, რუსეთთან თავისუფალი ვაჭრობა გავაგრძელოთ“



საქართველოს ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი პრაღაში რუს ექსპერტებთან დაგეგმილ შეხვედრას ეხმაურება და აცხადებს, რომ შეხვედრა საინფორმაციო, საკონსულტაციო სახის იქნება:

**„ჩვენი სამუშაო ჯგუფი მიდის პრაღაში. გვექნება საინფორმაციო საკონსულტაციო სახის შეხვედრა, განხილული იქნება გასული ერთი წელი, როდესაც განვაახლეთ სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთან. საუბარი იქნება იმ ნაკლოვანებებზე, რაც იყო და იმ ტექნიკურ საკითხებზე, რომლებიც უნდა გამოსწორდეს. ასევე მივაწვდით ინფორმაციას, თუ რას ითვალისწინებს თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ევროკავშირთან“.**

კვირიკაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობა შეეცდება, ევროკავშირთან ერთად, სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთანაც შეინარჩუნოს:

**„ყველანაირად ვეცდებით, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის პირობებში, გავაგრძელოთ თავისუფალი ვაჭრობა რუსეთთან, ესაა ჩვენი ინტერესი, ვფიქრობ, რუსეთის ინტერესიც უნდა იყოს, რომ ამ რეჟიმში გაგრძელდეს სავაჭრო ურთიერთობები და იმედი გვაქვს, ეს მოხერხდება“.**

საქართველოდან ეკონომიკური ჯგუფი პრაღაში რუს ექსპერტებს 7 ივლისს შეხვდება.

*„ინტერპრესნიუსი“*



## უკრაინელმა სამხედროებმა სლავიანსკსა და კრამატორსკზე სრული კონტროლი დაამყარეს

უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ბრძანებით, აღნიშნულ დასახლებულ პუნქტებში ინფრასტრუქტურის აღდგენას უკვე იწყებენ.

ამასთან, პოროშენკომ ხელი მოაწერა სამხედროების დაჯილდოების ბრძანებულებას სლავიანსკის გათავისუფლებისთვის.

*„ინტერპრესნიუსი“*

## რა გახდა 27 წლის მშობიარეს გარდაცვალების მიზეზი

27 წლის მშობიარეს გარდაცვალების ფაქტს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ეხმაურება.

როგორც ლევან გორგილაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, შორენა დევაძის გარდაცვალების მიზეზებს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა დაადგენს. საკითხის გარკვევაში საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტო ჩაერთვება და კონკრეტული დასკვნებიც გაკეთდება, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში კი ექიმს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრება:

**„ძალიან სამწუხარო ფაქტია. მშობიარე 5 ივლისს, საღამოს შევიდა საავადმყოფოში. მას დამძიმებული ანამნეზი ჰქონდა, წარსულშიც მკვდრადშობადობის ორი შემთხვევით. როგორც ექიმები ვარაუდობენ, ნაყოფი ორი დღით ადრე იყო გარდაცვლილი. ჩატარდა მშობიარობა, შემდეგ კი დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულდა. რაც შეეხება გარდაცვალების მიზეზს, ტარდება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა და დასკვნის შემდეგ იქნება გარკვეული კონკრეტული მიზეზები. თუ გამოიკვეთა ექიმის უყურადღებობა ან რაიმე გადაცდომა, რა თქმა უნდა, შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრება“.**

მშობიარეს გარდაცვალებას ოჯახის წევრები ექიმის დაუდევრობას აბრალებენ.

*„მდიანიუსი“*



## დავით ნარმანია „მარშუტკების“ მძღოლებს შეხვდა

კოალიცია „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი დავით ნარმანია დედაქალაქში მოძრავი სამარშრუტო მიკროავტობუსების მძღოლებს შეხვდა და წინასაარჩევნო პროგრამა გააცნო.

მძღოლები სამუშაო და შრომითი პირობების გაუმჯობესებას, ყოველდღიური ფიქსირებული გადასახადის დაწესებასა და სხვა მუნიციპალურ ტრანსპორტთან კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას ითხოვენ.

დავით ნარმანიას თქმით, ფიქსირებულ გადასახადთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიმართება. თბილისის მერობის კანდიდატი მძღოლებს სხვა პრობლემების გადაჭრასაც დაპირდა და განაცხადა, რომ დედაქალაქის მერს ეყოლება სპეციალური წარმომადგენელი, რომელთანაც მძღოლებს დღის ნებისმიერ მონაკვეთში შეეძლებათ დაკავშირება, მათთვის საჭირო საკითხების მოსაგვარებლად. გარდა ამისა, მერს კვირაში ერთხელ ექნება მიღების დღე. **„რა დღესაც მერიაში შევალ, ჩემივე განკარგულებით, მიღების დღედ დაწესდება“,** — აღნიშნა მერობის კანდიდატმა.

დავით ნარმანიას განცხადებით, მნიშვნელოვანია როგორც მძღოლების, ისე მგზავრთა უფლებების დაცვა. ჩატარდება მგზავრებს შორის კვლევა იმის დასადგენად, თუ სადაა საჭირო მარშრუტების დამატება.

დავით ნარმანიამ თბილისში ესტაკადების მშენებლობაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ეს ხელს შეუწყობს ქალაქის განტვირთვას საცობებისგან.

*„ინტერპრესნიუსი“*

# დაჭერილ გიგი უგულავას პრემიერობისთვის ამზადებენ?

## რატომ გაცვალა გიგიმ უფლის გზა პოლიტიკაზე და როგორ გახდა პატრიარქის სტიქაროსანი ნაცმოძრაობის რუხი კარდინალი — „წამებულის შოუ“ და კულუარული ვერსიები

გიორგი გიორგაძე



**დაპატიმრებული ექსჩინოვნიკების ცოლების კლუბს ახალი წევრი ჰყავს — ლელა კილაძე, რომელიც ამ კლუბის წევრობისთვის ლამის ორი წელი ემზადებოდა. საერთოდ, თანამედროვე სტანდარტებით პირად თემებზე საჯარო ლაპარაკი არაეთიკურია, მაგრამ, როცა პირადი და სახელმწიფო, ასე ვთქვათ, ინტერესები ერთმანეთშია ახლართულ-ჩახლართული, მაშინ ეთიკის მოშველიება უადგილოა. მოკლედ, თბილისის აწუკვე პატიმრობაში მყოფი ნამერალის გარშემო ერთ-ერთი ხმაური თავის დროზე სწორედ მეუღლის გამო ატყდა — ესაო, ისაო, გიგი უგულავას ცოლის უცხოეთში მშობიარობა რამდენიმე ათასი ლარი დაჯდა და ეს თანხა თბილისის ბიუჯეტმა დაფარაო.**

იმ საქმეებთან, რასაც უგულავას სამართალდამცავები ედავებიან, მეუღლისა და მისი სადაქალო-სამეგობროს „გულავზე“ დახარჯული ფული რა მოსატანია, მაგრამ გიგიმ თბილისელებს თავი მხოლოდ „ჩუკენობით“ კი არა, ისეთი ეგზოტიკური „ნიუსითაც“ დაამახსოვრა, მაგალითად, როგორიც სტრიპტიზკლუბ „დივაში“ დროსტარებისთვის მერიის ბიუჯეტიდან გადარიცხული ფულია.

ასე და ამგვარად, უგულავა „გულაობდა“ და ამის დამადასტურებელი ფოტო ინტერნეტშიც უხვადაა.

სხვათა შორის, სასამართლო სხდომაზე, როცა წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს, დაპატიმრებული ქმარი და თავისუფლებაზე მყოფი ცილი ერთმანეთს ემოციურად — ვნებიანი კოცნით გამოემშვიდობნენ, რაც, ემოციასთან ერთად, ალბათ, ისეთივე პიარის ნაწილი იყო, როგორც დაკავების დროს, ხელბორკილის დადებისას გიგის სიტყვები — ეს ერთი, ახლა მეორე...

არადა, გიგის წარსულს თუ გადავხედავთ, სიყმაწვილეში „გულაობისკენ“ მიდრეკილება აშკარად არ ჰქონდა — სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, მერე, პატრიარქის სტიქაროსანი იყო და ერთხანობა, რელიგიის მასწავლებლადაც მუშაობდა.

როდის და რატომ გაცვალა გიგიმ უფლის გზა პოლიტიკაზე? — ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა თავად მერყოფილს შეუძლია და, ვინძლო, ისეც მოხდეს, რომ საკანში მემუარების წერა დაიწყოს და ზემოხსენებულ თემასაც შეეხოს.

მემუარებამდე კი, ფაქტი ერთია: უგულავა აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში „ვარდების რევოლუციამდე“ ჩაერთო ანუ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილი შევარდნაძისა და, შესაბამისად, მისი „მოქკავშირის“ ამომავალი ვარსკვლავი იყო და ვაკის მაჟორიტარობისთვის იბრძოდა. იმხანად, გიგი ჟურნალისტობდა და, როგორც თვითმხილველები ამბობენ, მიშას გვერდიდან არ სცილდებოდა.

ფართო საზოგადოებამ აწუკვე პატიმარი უგულავა 2003 წლის ნოემბრის მოვლენების წინ გაიცნო — „კმარას“ ერთ-ერთ დამფუძნებლად და იდეოლოგად მოგვევლინა. ისე, „კმარა“, უფრო სწორედ, მოდერნიზებული „კმარა“ ასპარეზზე ისევ გამოჩნდა — „მოდულთან“, სადაც დაკავებული გიგი აეროპორტიდან გადაიყვანეს, „დროამ“ საპროტესტო აქცია გამართა. „ვერსიის“ კულუარული ვერსიით, „დროა“ სწორედ ნაციონალების იდეოლოგიის ახალი „პირმშოა“.

საერთოდ, ადამიანები, ვინც კარგად იცნობს, ამბობენ, რომ უგულავა ინტრიგების დიდოსტატია; მეტიც, ნაციონალების თითქმის ყველა შოკისმომგვრელი გადაწყვეტილების თანაავტორადაც მიიჩნევა.

უგულავას ჩინოვნიკური კარიერა 2004 წელს იწყება — სხვადასხვა დროს უშიშროების მინისტრის მოადგილისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პოსტი ეკავა, მერე თბილისის მერის თანამდებობაზე ზურაბ ჭიაბერაშვილი ჩაანაცვლა, მოგვიანებით კი, 2010 წელს თბილისის პირველი არჩეული მერიც გახდა. გიგის „ფანები“ ამბობენ, რომ იმდენი, რაც უგულავამ გააკეთა, თბილისისთვის არც ერთ სხვა მერს არ გაუკეთებია და ამის დასტურად სოციალურ ქსელებში თანამედროვე თბილისის ფოტოსურათებს ისტერიულად აზიარებენ.

თბილისი რომ დამშვენდა, რა თქმა უნდა, გულს უხარია და ამას არავინ უარყოფს, მაგრამ აი, ავიღოთ თუნდაც რეაბილიტირებული „მარჯანიშვილი“ — ალმაშენებლის პროსპექტი გარედან თვალს მტერს უბრმავებს, შიგნიდან კი მოყვარეს ანუ, როგორც ალმაშენებელზე მცხოვრებნი ამბობენ, რეაბილიტაცია ფასადურად მოხდა, სინამდვილეში კი შენობები დანგრევის პირსაა.

გიგი უგულავას სამეურნეო და სხვა მაქინაციებზე გამოძიება და სასამართლო ჩვენზე უკეთ იმსჯელებს. ჩვენ კი, უგულავაზე ისე ვიმსჯელოთ, როგორც ნაცმოძრაობის ერთ-ერთ „ტვინზე“.

ანალიტიკოსთა ნაწილს თუ დავუჯერებთ, გიგი წინ მიზანმიმართულად მიდიოდა და საპრეზიდენტო ამბიციაც ჰქონდა. ამასთან, იმასაც ვარაუდობენ, რომ მარტივმამრავლებად დაშლილ ყოფილ მმართველ პარტიაში გიგი ე.წ. პროდასავლურ ფრთას წარმოადგენს. ამ ფრთის ლიდერად გიგა ბოკერია მიიჩნევა. შესაძლოა, ეს ვერსია რეალურიცაა, რადგან სხვა თუ არაფერი, აეროპორტში უგულავას სწორედ ბოკერია აცილებდა.

„ვერსიას“ კულუარებში ისიც უთხრეს, რომ გიგიმ თავი მიზანმიმართულად დააჭერინა და აი, რატომ:

ცივილური მსოფლიოს თვალში, ცოცხებისა და სხვა ათასი უბედურების მიუხედავად, ნაცმოძრაობა ერთადერთ დასავლური ყაიდის ოპოზიციურ ძალად მიიჩნევა და სწორედ მაშინ, როცა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია და ამ დროს მკვეთრად მედასავლეთე ტიპს იჭერენ, ევროსტრუქტურებში, მინიმუმ, კითხვისნიშნები ჩნდება. სხვათა შორის, კეტრინ ეშტონმა და სხვებმა ტრადიციული შეშფოთება უკვე გამოთქვეს.

ამ ლოგიკით, ვიღაც იკითხავს, კი, მაგრამ ამხელა აჟიოტაჟი ვანო მერაბიშვილზე ან სულაც, ბაჩო ახალაიაზე რატომ არ ატყდაო. ხმაური მათი დაკავების დროსაც იყო, მაგრამ მერაბიშვილის რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირებზე, სხვა თუ არაფერი, თავის დროზე თეა თუთბერიძემაც მიანიშნა.

რაც შეეხება ბაჩო ახალაიას, ის პოლიტიკური ფიგურა არასოდეს ყოფილა და უფრო „სამეურნეო მუშაკი“ გახლდათ, რომლის „ნაციონალური მისიაც“ ადამიანების დაშინებით შემოიფარგლებოდა.

გიგი უგულავას დაკავება „წამებულის შოუდ“ კიდევ იმიტომ იქცა, რომ ყველა, ვინც 9 წლის განმავლობაში რაღაცას აშავებდა, გრძნობს, რომ წრე მის გარშემოც დავიწროვდა. ამ მხრივ განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში მიხეილ სააკაშვილია და, როგორც „ვერსიას“ კულუარებში ეუბნებიან, არ უნდა გამოირიცხოს, რომ უგულავას მიშაზე რამე „წამოსცდეს“, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ზოგიერთი ანალიტიკოსის მოსაზრებას, რომ ნაცმოძრაობის უგულავა-ბოკერიას ფრთა მიშას ჩამოცილებას დიდი ხანია ცდილობს.

ამასთან არსებობს მოსაზრება, რომ უგულავამ თავი ძალად დააჭერინა. არსებობის უფლება, ბუნებრივია, ამ მოსაზრებასაც აქვს, რადგან ადამიანებს წამებულები უყვართ. მართალია, გიგის წამებას ბევრი ღიმილით უყურებს და ნაცმმართველობას შეწირულებს იხსენებს, მაგრამ პატიმრობა, უფრო კონკრეტულად, წამებულობა დასავლეთის თვალში პოლიტიკურ რენომეს მაღლა სწევს.

სხვათა შორის, უგულავა ერთადერთი ნაციონალია, რომელიც ბიძინა ივანიშვილს ღიად შეერკინა — ერთი წლის წინ, როცა ბიძინა ივანიშვილი პრემიერი იყო, მთავრობის სხდომაზე შეიჭრა და ივანიშვილი ათასგვარი ეპითეტით შეამკო. ამ ფაქტმა ნათელყო, რომ უგულავა სერიოზული პოლიტიკური ნახტომისთვის ემზადებოდა. როგორც „ვერსიას“ წყაროები ეუბნებიან, ეს „სერიოზული ნახტომი“ კი, არც მეტი, არც ნაკლები, შეიძლება, პრემიერობა იყოს. უგულავას გაპრემიერების სცენარი კი, კულუარული ვერსიით, მარტივია: ნაცმოძრაობა ყველაფერს გააკეთებს, რათა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ოცნებამ“ უმრავლესობის მოპოვება ველარ შეძლოს. იმის ილუზია, რომ უმრავლესობას ნაცმოძრაობა დაისაკუთრებს, არ არსებობს, მაგრამ ახალ პარლამენტში რამდენიმე წვრილ-წვრილი პარტია იქნება წარმოდგენილი, რომელთა გაერთიანებაც უმრავლესობას შექმნის და, რომელი უმრავლესობა მთავრობასაც დააკომპლექტებს. იმ დროისთვის უგულავა შეიძლება, ისევ ციხეში იყოს, მაგრამ ახალ გაურკვეველ უმრავლესობას ხელს არ შეუშლის, პატიმარი მერყოფილი ქვეყნის პრემიერის პოსტზე დაამტკიცოს.



## ევროკავშირის მიმართვა საქართველოს ხელისუფლებას

თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას დაკავებასთან დაკავშირებით ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში კეტრინ ეშტონის პრესსპიკერი განცხადებას ავრცელებს.

როგორც ევროკავშირის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ევროკავშირი ყურადღებით ადევნებს თვალს გიგი უგულავას დაკავებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 3 ივლისს, თბილისის აეროპორტში.

**„აღვნიშნავთ, რომ გიგი უგულავა, რომელსაც შეჩერებული აქვს მერობის უფლებამოსილება, საქართველოში თვითმმართველობის არჩევნების დროს ოპოზიციის კამპანიის ხელმძღვანელია. გავიხსენებთ პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის მიერ 14 აპრილს გაკეთებულ განცხადებას საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ოპოზიციის წარმომადგენლების დაკავებასა და სამართლებრივ დევნაზე მორატორიუმის დაწესების თაობაზე. ევროკავშირი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს სასამართლო პროცესის სრული დამოუკიდებლობა, გამჭვირვალობა და პოლიტიკური გავლენისგან თავისუფლება იმ ვალდებულებების შესაბამისად, რომელიც საქართველომ 2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერისას აიღო“,** — ნათქვამია კეტრინ ეშტონის პრესსპიკერის განცხადებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გიგი უგულავას აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა 4 ივლისს შეუფარდა.

თბილისის ყოფილ მერს ბრალი უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასა და მარნეულის ეპიზოდთან დაკავშირებით წარედგინა. პროკურატურის ინფორმაციით, უგულავას ასევე წარედგინა ბრალდება გიორგი ღონიაშვილსა და სხვა პირებთან ერთად, ჯგუფურად ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენების ორგანიზებისთვის. დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 25, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, 226-ე მუხლით და 150-ე მუხლის პირველი ნაწილით.

*„ინტერპრესნიუსი“*




## რიჩარდ ნორლანდი ყველა მხარეს მოუწოდებს, ძალადობისგან თავი შეიკავოს

**„ყველას მოვუწოდებ, ხელი შეუწყონ მშვიდობიან გარემოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იყოს განმტკიცებული პატივისცემა დამოუკიდებელი სასამართლოსა და კანონის უზენაესობის“,** — ამის შესახებ აშშ-ს ელჩმა საქართველოში, რიჩარდ ნორლანდმა ჟურნალისტებს გიგი უგულავას დაკავებისა და საქალაქო სასამართლოსთან მომხდარ დაპირისპირებაზე კომენტირებისას განაცხადა და აღნიშნა, რომ აშშ ყურადღებით აკვირდება საქართველოში მიმდინარე პროცესებს:

**„ესაა სერიოზული საქმე. აშშ ყურადღებით აკვირდება საქართველოში პროცესებს და ჩვენი ყურადღების ცენტრშია სამართლებრივი პროცესები. ჩვენს წუხილს ზრდის ის ფაქტი, რომ საქართველოში წინასაარჩევნო გარემოა, 12 ივლისს დანიშნული განმეორებითი არჩევნების წინ უფრო მნიშვნელოვანია, დაცული იყოს სამართლებრივი პროცესი და უზრუნველყოფილი სამართლებრივი პროცესის უმაღლესი სტანდარტები, რომელიც იქნება თავისუფალი რაიმე სახის პოლიტიკური გავლენისგან“.**

ნორლანდის განმარტებით, ამერიკის შეერთებულ შტატებს ესმის, რომ წინასწარი დაკავების შესახებ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნება.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ევრაზიის ინსტიტუტის „საიდუმლო სერობა“ „ამბასადორში“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**პარასკევს, 4 ივლისს, სასტუმრო „ამბასადორში“, საქართველოში ევრაზიის ინსტიტუტის დამფუძნებლის, გულბაათ რცხილაძის ინიციატივით, დახურული შეხვედრა გაიმართა. ამ შეხვედრამდე, რამდენიმე კვირის წინ, „ვერსიამ“ ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც რცხილაძეს უხერხულ შეკითხვებზე მოუწია პასუხის გაცემა. უნდა ვივარაუდოთ, რომ „ამბასადორის“ „საიდუმლო სერობაზე“ „ვერსია“, როგორც ერთადერთი მედიასაშუალება, გულბაათ რცხილაძემ სწორედ იმიტომ მიიწვია, რომ ენახვებინა, ევრაზიის ინსტიტუტი ცუდს არაფერს აკეთებსო. „ვერსია“ მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართულ შეხვედრაზე უკომენტაროდ გიამბობთ. სხვათა შორის, სხდომაზე განსაკუთრებული სტატუსით რუსი სპეციალისტიც იმყოფებოდა — არტურ ატაევი კავკასიაში რუსეთის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის („რისი“) წარმომადგენელი აღმოჩნდა, რომელმაც ევრაზიის ინსტიტუტის ექსპერტებთან ერთად, ისლამიზაციის საფრთხეებზე ისაუბრა.**

## ვინ არის არტურ ატაევი, რა მიზნით ჩამოვიდა თბილისში და რა კავშირი აქვს გულბაათ რცხილაძეს რუსეთის დაზვერვის ყოფილ უფროსთან




შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ: ევრაზიის ინსტიტუტის წარმომადგენელი შოთა აფხაიძე, მამა ნოე გუგუციძე, მეუფე იოანე გამრეკელი, საპატრიარქოსთან არსებული გამოცემის — „სამი საუნჯე“ ავტორი გიორგი რუხაძე, სასულიერო სემინარიისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, პროფესორი გვანცა კოპლატაძე, საქართველოს მუსლიმანური საზოგადოების წარმომადგენელი მურაზ ნაგეევი, ახალგაზრდულ კავშირ „მესხების“ ლიდერი ალექსანდრე ბეგიაშვილი, აზერბაიჯანელების ნაციონალური კონგრესის ლიდერი ალი ბაბაევი, ჯავახეთში ევრაზიის ინსტიტუტის წარმომადგენელი ვახტანგ ზაზუნაშვილი, დემოგრაფი, ეკონომისტი იოსებ არჩვაძე, თურქოლოგი, ყოფილი ელჩი თურქეთში ზაურ მჭედლიშვილი, ყაზახების წარმომადგენელი თარხან ნურსეივოვი და ევრაზიის ინსტიტუტის ექსპერტი მამუკა კარტოზია. მრგვალი მაგიდა გულბაათ რცხილაძემ გახსნა და სტუმრების წარდგენის შემდეგ, დაანონსებულ თემას გადაუხვია: **„დღეს რუსეთთან ურთიერთობის დალაგების პირველი მცდელობა გვაქვს და წარმატებისა გვჯერა. მე და შოთა აფხაიძე 2014 წლის აპრილში, მოსკოვს ვსტუმრობდით და სხვადასხვა მსხვილ კვლევით ინსტიტუტში, მრგვალი მაგიდის ფორმატით, შეხვედრებიც გვქონდა. შევხვდით რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის, „რისის“ ხელმძღვანელს, გენერალ ლეონიდ რეშეტნიკოვს. სწორედ იგი გახლდათ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთის დაზვერვის უფროსი, დღეს კი აკადემიური საქმიანობითაა დაკავებული. იგი დიდი სიმპათიითაა განწყობილი საქართველოს მიმართ. არაფორმალურ ვითარებაში იმის შესახებაც ვისაუბრეთ, რა ხდებოდა რუსეთში აგვისტოს ომის დროს. მან მითხრა, რომ პრეზიდენტის კაბინეტში თათბირი მიმდინარეობდა, როცა ცხინვალიდან ცნობა მოვიდა, ქალაქი ინტენსიურად იბომბებაო. ყველამ იფიქრა, რომ სააკაშვილი ჭკუიდან შეიშალა. გენერალი მიყვებოდა, რომ ისინი რამდენიმე საათის განმავლობაში უმოქმედოდ ისხდნენ და ელოდნენ, თავდასხმები როდის დასრულდებოდა, თუმცა ყველამ ვიცით, ამის მერე მოვლენები როგორც განვითარდა. ეს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში ერთ-ერთი შტრიხი იყო და, თუ ჩვენს შორის პირდაპირი დიალოგი არ იქნება, მაშინ გადაკვეთის სხვა წერტილები უნდა ვიპოვოთ**“.

საეკლესიო პირების შედარებით თავშეკავებული გამოსვლის შემდეგ, რამდენიმე მომხსენებელმა საქმე იქით წაიყვანა, რომ დახურული შეხვედრის ძირითად თემად საქართველოს თურქეთის ექსპანსია იქცა. გამომსვლელები იმაზეც საუბრობდნენ, როგორ ფინანსდება რამდენიმე ქართული კოლეჯი თუ უნივერსიტეტი თურქული ფონდებიდან, რაც მხოლოდ საფრთხის მომტანია. შეხვედრიდან პირველი აზერბაიჯანული კონგრესის ლიდერი **ალი ბაბაევი** წავიდა, რომელიც სიტყვით არ გამოსულა. როგორც ბაბაევმა „ვერსიასთან“ საუბრისას განაცხადა, ასეთი შეხვედრები „ვიწრო წრეში“ უშედეგოა: **„ყველაზე მთავარი ქართული მიწების დეოკუპაციაა და სხვა ყველა თემა ამის მერეა. კარასინი-აბაშიძეს შორის დაწყებული დიალოგი უნდა განვითარდეს, თუმცა საკმარისი არც ესაა. რაც შეეხება შეხვედრის თემას, მორწმუნე ისლამისტი ვარ და საქართველოში ისლამიზმის ან ტერორიზმის საფრთხეს ვერ ვხედავ. არ მეგონა, შეხვედრა ასეთ ვიწრო წრეში თუ გაიმართებოდა. სჯობდა, ბევრი ქართველი ექსპერტი და პოლიტოლოგი მოეწვიათ. ჩემი აზრით, ეს შეხვედრა არაეფექტურია, ამიტომაც მისი დატოვება გადავწყვიტე“.**

რუსი ექსპერტის სიტყვით გამოსვლისა და ვაჰაბიტ ექსტრემისტებზე სხვადასხვა სტატისტიკის წარმოდგენის შემდეგ, მოვლენები უფრო საინტერესოდ განვითარდა: ქართველი პროფესორები და მეცნიერები, რუს კოლეგასთან ერთად, თურქეთის ექსპანსიასა და „დაპყრობილ“ აჭარაზე ხმაშეწყობილად საუბრობდნენ. არც ერთი სიტყვა რუსულ ოკუპაციაზე, ევროსასამართლოში მოგებულ სარჩელზე, აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებსა და სხვა აქტუალურ თემებზე. არის თუ არა ისლამიზაცია ის საკითხი, რომლითაც საქართველომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა განაახლოს, რას ნიშნავს და რა რეალური მიზანი აქვს მსგავსი ფორმატის შეხვედრებს?! — „ვერსიამ“ რუს სტუმარს **არტურ ატაევი** ამ და სხვა კითხვებით მიმართა.

**— საქართველოში თქვენი ჩამოსვლისა და ამ შეხვედრის მიზანი რა არის?**

— ევრაზიის ინსტიტუტთან პარტნიორულ, კეთილმეზობლურ ურთიერთობას ვალაგებთ. ამ ურთიერთობას რამდენიმეთვიანი ისტორია და კონკრეტული მიზანი აქვს: ისლამის იდეოლოგიის საწინააღმდეგო მოქმედებები და მისი შემაკავებელი წინადადებების შემუშავება. ამ იდეოლოგიას საზღვრები არ აქვს. ერთ-ერთი სულიერი ლიდერის ფრაზაშიც ჩანს მათი დესტრუქციული შეხედულებები, სადაც ერთი მუსულმანი ცხოვრობს, ჯიჰადიც უნდა ხდებოდესო.

**— რატომ საუბრობთ ამ თემაზე მაშინ, როცა საქართველოში ჯიჰადი აქტუალური არაა?**

— ტერორისტული აქტისთვის ერთი შაჰიდიც საკმარისია, რომელიც თავს მოიკლავს. ის თემები, რაზეც დღეს ვისაუბრეთ, ცხადყოფს, რომ საქართველოში ეს პრობლემა აქტუალურია, მათ შორის, აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში.

**— თურქეთის ექსპანსიაზე რომ საუბრობთ, რატომ არაფერს ამბობთ რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციაზე?**

— რუსეთ-საქართველოს შორის, თავადაც იცით, რა ურთიერთობაა — არანორმალური, ხისტი. ბოლოს და ბოლოს, ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური კონტაქტი არ არსებობს. ვფიქრობ, სწორედ ასეთი პატარა შეხვედრები შეცვლის ურთიერთობას უკეთესობისკენ და მიმაჩნია, რომ წმინდა პოლიტიკურად, რაც შეიძლება, ცოტა ნაბიჯი უნდა გადაიდგას. არ ღირს დიდი ნაბიჯების გადადგმა, რადგან საქართველოსა და რუსეთის საზოგადოება ერთმანეთის პატიებისთვის ჯერ მზად არ არის.

**— უკაცრავად, მაგრამ თქვენ კი არა, ჩვენ უნდა გაპატიოთ!**

— არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენება, რომ მზად არ ვართ.

**— 2006 წელს საქართველოს მოქალაქეების რუსეთიდან მასობრივი დეპორტაციის გამო, ევროსასამართლომ განაჩენი ჩვენს სასარგებლოდ გამოიტანა და ფინანსური სანქციაც დაგაკისრათ. ამაზე რატომ დუმხართ?**

— რუსეთ-საქართველოს შორის კიდევ ბევრი სასამართლო იქნება. ჩემი აზრით, ევროპული სამართალი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებისთვის საზიანოა. ამ თემის კომპეტენტურ ანალიზს ვერ გავაკეთებ, რადგან ამის შესახებ ახალი ამბების ბლოკში მოვისმინე... საერთოდ, ევროპული სასამართლო ნეგატიური ინსტიტუტი, ძალიან ბიუროკრატიული და საშიში სისტემაა...

**— რა რეაგირება მოყვება ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას რუსეთის მხრიდან?**

— არ ვიცი... ანალიზი რომ გავაკეთო, ჯერ უნდა დავთვალო, ამაზე რამდენი პუბლიკაცია დაიწერა, რამდენი პოლიტიკური განცხადება გაკეთდა და რა შინაარსის იყო.

**— საქართველოში განცხადება თითქმის ყველა მაღალჩინოსანმა გააკეთა.**

— რუსეთში ასეთი რამ არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, მე არ მომისმენია. თუ ამ ვერდიქტს საინფორმაციო გამოხმაურება არ მოყვება და რუსეთში ამ თემაზე არ ილაპარაკებენ, მაშინ რა გავლენა უნდა იქონიოს განაჩენმა მიმდინარე პროცესებზე? რაც შეეხება სანქციებს, პირიქით, ეს სანქციები ადგილობრივ პროდუქციაზე კოლოსალურად კარგ გავლენას ახდენს, რადგან შიდაბაზარი უკეთ მუშაობს და ამას მხარს სახელმწიფოც უჭერს.

**— ამ ფონზე, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დალაგების რა პერსპექტივა არსებობს?**

— საჭიროა დიალოგი იმ დონეზე, რა დონეზეც დღეს ჩვენ გვაქვს. კონკრეტულ და არა გლობალურ თემებს მოყვება კონკრეტული პოზიტივიც. თბილისში სავსე თვითმფრინავით ჩამოვფრინდი, მოსკოვში თბილისის ბილეთის ყიდვა დიდი პრობლემაა და იაფიც არ ღირს — ბევრი დასასვენებლად მოდის, ზოგი სამუშაოდ... ვხედავთ, საქართველოში რელიგიური პოზიცია დასუსტდა. ბევრი მსმენია ქართველ მღვდლებზე, მათ რეიტინგზე, რომ პატრიარქი ყველაზე დიდი ავტორიტეტია საზოგადო და რაღაც კუთხით, პოლიტიკურ მოღვაწეთა შორისაც.

**— რატომ ფიქრობთ, რომ ქვეყანაში მართლმადიდებლობა დასუსტდება. ასოცირების ხელშეკრულების გამო?**

— როგორც ქართველები მიამბობენ, ლგბტ თემის წარმომადგენლებმა, თავიანთი იდეოლოგიითა და შეხედულებებით, შესაძლოა, მართლმადიდებლობა დაასუსტონ. იცით, ერთხელ თბილისში რაღაც ღონისძიებას ვესწრებოდი და მრგვალ მაგიდასთან, ოქსფორდდამთავრებულმა გოგო-ბიჭმა სერიოზულად იჩხუბა თსუ-ს სტუდენტთან თემაზე, სადაც მინდა და ვისთანაც მინდა, იმასთან დავწვებიო. არ ვამბობ, რომ ეს ტრადიციული ხედვაა, ან უმრავლესობა ასე ფიქრობს, უბრალოდ, ასეთი რაღაც ვნახე და ეს ფაქტია. ევროპული ფასეულობების პროპაგანდა ისეთ მომენტებთანაა დაკავშირებული, რომელიც ტრადიციულ კულტურასა და რელიგიას აკნინებს.

**— რეიტინგებში, პატრიარქის პროცენტთან ერთად, ნატო-სა და ევროკავშირის პროცენტებსაც ნახავდით...**

— საბერძნეთში ერთ მიტროპოლიტს შევხვდით, რომელმაც მითხრა, არ მინდა, რუსეთმა ოდესმე რომელიმე ევროსტრუქტურაში შესვლაზე იფიქროს, რადგან ჩვენ მეტი დავკარგეთ, ვიდრე მივიღეთო. მართლაც, მიდიხარ ქუჩაში და ხალხს არაფრისმთქმელი გამოხედვა აქვს. ევროპაში სიცოცხლე აღარ არის, ირგვლივ სულ აგრესიაა. აქ, თბილისში რომ ჩამოვედი და ქუჩაში დავდივარ, სულ სხვა მდგომარეობაა, მადლობა ღმერთს, მაგრამ შეიძლება, ესეც შეიცვალოს. დღევანდელი საქართველო ის ქვეყანაა, რომლისაც მეზობლებს „შურთ“.

თქვენ უკეთ იცით, რამდენად ღრმადაა შემოსული ევროპა საქართველოში... კარგს ვერაფერს ვხედავ ევროპასა და ევროპულ ფასეულობებში. ევროპაში ადამიანის უფლებებს ვსწავლობდი, ამ თემაზე დისერტაციაც დავიცავი და დიახ, ვაცხადებ, რომ ევროპაში კარგი არაფერია. მეტიც, ადამიანის უფლებები სახელმწიფოს დაშლისა და დაცემის იარაღია.

**— რუსული პოლიტიკური ელიტის უმეტესობა თქვენნაირად ფიქრობს...**

— მკვეთრი ლიბერალი ვიყავი და დღეს ლიბერალურ სისტემას ვერ ვიტან – იგი ყველაფერს ანადგურებს!

## ვერსიანიუსი




### სახელმწიფო დაცვის უფროსის მოადგილე ტრაგიკულად დაიღუპა

მცხეთაში მომხდარი ავარიის შედეგად სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილე, სახელმწიფო დაცვის ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი იმერლიშვილი გარდაიცვალა.

გიორგი იმერლიშვილი თბილისიდან მცხეთის მიმართულებით მოძრაობდა, რა დროსაც „ტრაილერს“ შეეჯახა. შეჯახების შედეგად, ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა.

*„მედიანიუსი“*

### ზუგდიდში გარევაჭრობის აკრძალვას ითხოვენ

ამ მიზნით, აქცია ზუგდიდის საბითუმო ბაზრის მოვაჭრეებმა გამართეს და ბაზარში შესასვლელი გზა დახლებით გადაკეტეს. მათი განმარტებით, გარევაჭრობის გამო, მათთან მომხმარებელი არ შედის, რის გამოც ზარალდებიან.

მოვაჭრეები მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ცენტრალური გზის გადაკეტვით იმუქრებიან. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურში კი აცხადებენ რომ უახლოეს მომავალში გარევაჭრობის აკრძალვას გეგმავენ.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# ოლეგ პანფილოვი: „ბატონებო, ევროპელები მხოლოდ ფაქსიმილეთი ვერ გახდებით!“



## რატომ ეშინია „ოცნებას“ ნაცმოძრაობისა და დაითხოვს თუ არა მარგველაშვილი პარლამენტს — რუსი ჟურნალისტის ქართული შეფასებები და პროგნოზები

რუსუდან შელია
557-100-768

**არავინ იცის, მერყოფილს საპატიმროში რამდენის გატარება მოუწევს — გავრცელებული ინფორმაციით, თუკი ყველაფერი, რასაც პროკურატურა ედავება, დაუმტკიცდა, გიგი უგულავამ 50 წლის იუბილე, შესაძლოა, გისოსებსმიღმა აღნიშნოს, არადა გაპოლიტიკოსებული ჟურნალისტი ჯერ მხოლოდ 39 წლისაა. „გიგი უგულავას დაკავებას ერთი სახელი აქვს — პოლიტიკური დევნა“, — ასე აფასებს ბოლო დღეებში ნაცმოძრაობის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს საქართველოში მოღვაწე რუსი ჟურნალისტი ოლეგ პანფილოვი.**

— დაკავებამდე ერთი დღით ადრე, სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა — გიგი უგულავას პირადობის მოწმობა და პასპორტიც კი არ ჩამოართვა. თუ გიგი მარნეულის საქმეზე დააკავეს, მაშინ პროკურატურას ვთავაზობ, კახა კუკავაც დაკითხოს, რომელმაც ორი წლის წინ განაცხადა, უგულავა ბაყაყებს ხოცავდაო. რაც მარნეულში მოხდა, მაქსიმუმ, ადმინისტრაციულ სასჯელს ითვალისწინებს.

— **პროკურატურა უგულავას სხვა მძიმე ბრალდებებსაც უყენებს, მაგალითად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზება და ყალბი დოკუმენტის გამოყენება...**

— კი, ბატონო, მაგრამ პროკურატურამ ამ ხნის განმავლობაში რატომ არ იმოქმედა და უგულავა სწორედ არჩევნების მეორე ტურის წინ რატომ დააკავა? ამ ბრალდებების აბსურდულობას უამრავი ადამიანი ხვდება, საკუთარი პოზიცია ევროპის სახალხო პარტიამაც მკაცრად დააფიქსირა. ევროპულ ქვეყნებში ასე არ იქცევიან, პოლიტიკური დევნის ნებისმიერი მცდელობა კი ხელისუფლებისთვის ცუდად დასრულდება.

— **ბატონო ოლეგ, ხელისუფლებას, თქვენს მსგავსად, ნაციონალური მოძრაობის ლიდერებიც ემუქრებიან. ეს მუქარა პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ?**

— თუ ხელისუფლება პოლიტიკურ დევნას სხვებზეც დაიწყებს, მსგავს განხცადებებს ყველა დამოუკიდებელი ოპოზიციური პარტიისგან მოისმენთ. ნაციონალური მოძრაობის განცხადებებიც აბსოლუტურად ლოგიკურად მეჩვენება. ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, საქართველომ ევროპის წინაშე საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა იკისრა, ამიტომ ახლა, ყველა საქმე ევროპული კანონმდებლობის გადმოსახედიდან იქნება განხილული.

— **დასავლეთმა, თუ სახალხო პარტიას არ ჩავთვლით, რომელიც ევროპარლამენტში ნაციონალური მოძრაობის ლობად მიიჩნევა, ყოფილი სახელისუფლო პარტიის დევნაზე საუბარი დიდი ხანია შეწყვიტა.**

— ოპონენტების პოლიტიკურ დევნაზე ის საკმაოდ უცნაური განცხადებებიც მეტყველებს, რომელსაც პირადად პრემიერისგან ვისმენთ. წინასაარჩევნოდ ისიც არაერთხელ მოვისმინეთ, რომ ხელისუფლება ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური რადარიდან გასაქრობად ყველაფერს გააკეთებს. მსგავსი რამ ევროპაში რომელიმე პოლიტიკოსს რომ ეთქვა, მაშინვე ფსიქიატრულში წაიყვანდნენ. თუ „ქართული ოცნების“ წევრები და ხელისუფლების პირველი პირები ფიქრობენ, რომ უკვე ევროპელები არიან, ცდებიან! უკაცრავად, ბატონებო, ევროპელები მხოლოდ ფაქსიმილეთი ვერ გახდებით, ევროპელობა კანონის დამცველ ადამიანს ნიშნავს, რომელიც დემოკრატიის ევროპული სტანდარტების მიხედვით მოქმედებს.

— **ევროპული სტანდარტი პოლიტიკოსისთვის ინდულგენციის მინიჭებას, მგონი, არ გულისხმობს...**

— რატომღაც, ვფიქრობდი, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ხელისუფლება ასეთ უგნურ ნაბიჯებს აღარ გადადგამდა, მაგრამ, როგორც ჩანს, საკუთარი ქმედებების არსსა და მნიშვნელობას თავად კოალიციაში ვერ ხვდებიან. კიდევ ერთი არ მესმის: „ქართულმა ოცნებამ“ და მისმა ლიდერებმა არ იციან, რომ მხოლოდ ექსპერტები და მედიის წარმომადგენლები კი არა, დასავლური ქვეყნების საელჩოებიც ლუპით აკვირდებიან? საელჩოებში არიან ადამიანები, რომლებიც მათ განცხადებებს სწავლობენ და შემდეგ, საკუთარ ხელისუფლებას ანგარიშს აბარებენ. იქნებ, ეს ფაქტორი გაიაზრონ და სისულელეების გაჟღერებას თავი დაანებონ. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, „ქართულ ოცნებაში“ გარკვეული ჯგუფი ევროპასთან შეთანხმების რატიფიკაციის დანგრევას შეგნებულად ცდილობს. გიგი უგულავას დაკავება ხელისუფლების მორიგი მცდელობაა, რომ ნაციონალურ მოძრაობას ფიზიკურად გაუსწორდეს.

— **რით ხსნით არჩევნების მეორე ტურს? მმართველ გუნდს, სურვილის შემთხვევაში, არჩევნებში ოპონენტის დასამარცხებლად, როგორც წესი, ყველა ბერკეტი აქვს და, თუ თქვენ ლოგიკას გავყვებით, ადგილობრივი არჩევნების ბედი პირველივე ტურში უნდა გადაწყვეტილიყო.**

— გეთანხმებით, მაგრამ დემოკრატიული პროცესი ახლა კი არა, წელიწადნახევრის წინ დაიწყო, თუმცა მას შემდეგ „ქართული ოცნება“ ეტაპობრივად კვდება, რადგან დაპირებებს არ ასრულებს. რაც შეეხება მეორე ტურს, ფაქტია, კოალიციაში საპარლამენტო ოპოზიციის მიმართ შიში მატულობს, რადგან ნაციონალური მოძრაობა დაკარგულ ნდობას ეტაპობრივად იღდგენს და ეს ადგილობრივმა არჩევნებმაც დაამტკიცა.

— **ყოფილმა სახელისუფლო პარტიამ საპარლამენტო არჩევნებში 40%-ზე მეტი ხმა მიიღო, ადგილობრივ არჩევნებში — 27%. რეიტინგის ზრდას რომელი არითმეტიკით ანგარიშობთ?**

— საქართველოში საკმაოდ რთული ეტაპია — საზოგადოება იმედგაცრუებულია. ნაციონალური მოძრაობა არ მომკვდარა, ცოცხლობს, „ქართული ოცნებისადმი“ ნდობა კი გაქრა, რასაც ხელი, დიდწილად, უცნაური შინაარსის სასამართლო პროცესებმა და კოალიციის განცხადებებმაც შეუწყო. მართალია, ხადური ტრაბახობს, ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი იზრდება, ეკონომიკა ჰყვავისო, მაგრამ ხალხი და მათ შორის, მეც, კარგად ვხედავთ, რომ პროდუქტზე ფასები მატულობს, მაღაზიების მეპატრონეები ტირიან — მყიდველების რიცხვი სამჯერ შემცირდაო. სად არის ეკონომიკა?

— **ამ კითხვაზე პასუხს ხელისუფლება უმეტესად ნაციონალური მოძრაობის მმართველობის შეხსენებით იწყებს. არ ფიქრობთ, რომ ნაციონალურ მოძრაობაში რებრენდინგი აუცილებელია?**

— ნაციონალურ მოძრაობაში უამრავი ახალი სახე გამოჩნდა. მათ არ აქვთ ამბიცია, რომ პარტიაში მიხეილ სააკაშვილის ადგილი დაიკავონ ან ხელში გენერალური მდივნის სკამი ჩაიგდონ. „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით, ნაციონალურ მოძრაობაში არაერთი ლიდერია. მთავარია, პარტიამ მოსახლეობის ნდობა დაიბრუნოს და საზოგადოება დაარწმუნოს, რომ განვითარების შეჩერება ქვეყანას კატასტროფულ შედეგამდე მიიყვანს. ყოველ წელს, „ქართული ოცნება“ საქართველოს რამდენიმე წლით უკან, ბნელი წარსულისკენ მიათრევს. ამ პროცესში ნაციონალური მოძრაობა მოლოდინის რეჟიმშია და კოალიციის ქმედებებს აკვირდება. ამას დადებითი მომენტებიც აქვს, განსაკუთრებით, იმ თვალსაზრისით, რომ ძველი თაობის პოლიტიკოსები, როგორიც ნინო ბურჯანაძე, კახა კუკავა და მისთანები არიან, უკანა პლანზე გადადიან.

— **ნინო ბურჯანაძე არჩევნებში, უკვე მეორედ, 10%-იან მხარდაჭერას აფიქსირებს.**

— ბურჯანაძე ან რომელიმე სხვა ოპოზიციური პარტია ნაციონალური მოძრაობის მეორე ადგილიდან ჩაჩოჩებას ვერ შეძლებს, ამიტომაც ეშინია „ქართულ ოცნებას“ ნაციონალებისა, მაგრამ კოალიციის მთავარი პრობლემა ნაციონალური მოძრაობა კი არა, თავად გაერთიანებაა.

> **„ქართული ოცნება“ სულთნის ჰარამხანას ჰგავს, სადაც სულთნის ცოლებს ერთმანეთი არ უყვართ. კოალიციაში ის ადამიანებიც ქმნიან პრობლემას, რომლებმაც სახელმწიფოს მართვის გამოცდილება შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ანუ მაშინ მიიღეს, როცა საქართველო, როგორც სახელმწიფო, არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, „ქართულ ოცნებაში“ არიან ლიდერები, რომლებსაც გარკვეული პერსპექტივები აქვთ. მაგალითად, ირაკლი ალასანია... დავით უსუფაშვილსაც, ასეთი რბილი რომ არ იყოს, შეუძლია, ლიდერი გახდეს.**

— **ბატონო ოლეგ, ის პოლიტიკოსები დაასახელეთ, რომლებზეც დიდი ხანია ამბობენ, რომ კოალიციის დაშლას გეგმავენ...**

— „ქართულ ოცნებაში“, ადრე თუ გვიან, პოლიტიკური სკანდალი გარდაუვალია! კოალიციაში, სადაც 5 პარტიაა, ბიძინა ივანიშვილისთვის განსაკუთრებით საშიში რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები არიან, ვფიქრობ, დამცირებას მარგველაშვილიც დიდხანს არ მოითმენს... ერთ დეტალს მიაქციეთ ყურადღება: მიუხედავად იმისა, რომ მარგველაშვილს თითქმის ყველა უფლებას ართმევენ, მის ხელში ძირითადი ბერკეტები რჩება — პარლამენტის დათხოვნა ისევ შეუძლია.

— **პრეზიდენტი მარგველაშვილი ამ რისკზე წავა?**

— ეს იქნება პასუხი შეურაცხყოფაზე... ვერ გეტყვით, კოალიციაში არსებულ ავტორიტარულ დამოკიდებულებას დანარჩენები რამდენ ხანს მოითმენენ. როგორც ვხვდები, ყველა დეპუტატი კმაყოფილი არც საქართველოს პარლამენტში, უმრავლესობის რიგებშია.. განსაკუთრებით, ხშირად მაჟორიტარებს უწევთ იმის მოსმენა, რომ ცხოვრება უფრო გაუსაძლისი გახდა და „აყვავებულ ეკონომიკას“ ადამიანები საკუთარ ყოველდღიურ ყოფაში ვერ ამჩნევენ. პროცესების განვითარების დინამიკას დრო გვიჩვენებს.

## ვერსიანიუსი

### ქართული სოკო რუსეთსა და დუბაიში გაიყიდება



წლის ბოლომდე, ქართული წარმოების სოკო რუსეთსა და დუბაიში გაიყიდება. სოკოს მწარმოებელი კომპანია „თეთრი ქუდი“ წარმოების ზრდას განაგრძობს და სომხეთის შემდეგ, ახალი ბაზრებით ინტერესდება. როგორც კომპანიის გენერალური დირექტორი აცხადებს, ქართული წარმოების სოკო რუსეთში უახლოეს პერიოდში გავა, ხოლო დუბაიში ექსპორტის დაწყებას წლის ბოლომდე, ან მომავალი წლის დასაწყისიდან გეგმავენ. ვანო იოსელიანის განმარტებით, „თეთრი ქუდის“ წარმოება ინტენსიურად იზრდება და ამ ეტაპზე, კომპანიას, ერთი თვის განმავლობაში, 180 ტონა სოკოს წარმოება შეუძლია. მისივე თქმით, წარმოებული პროდუქციის 80%, ადგილობრივ ბაზარზე იყიდება. სამი დასახელების პროდუქციის – 1 კგ „პორტაბელოს“, „კალმახასა“ და „ქამა სოკოს“ ღირებულება, საშუალოდ, 5-დან 5.50 ლარამდეა.

რაც შეეხება ევროკავშირში სოკოს ექსპორტს, ვანო იოსელიანის განმარტებით, ევროკავშირის ყველა ქვეყანას სოკოს საკუთარი წარმოება გააჩნია, რომლის ფასი, ქართული წარმოების სოკოს თვითღირებულებაზე ბევრად დაბალია.

### ევროკავშირში ღვინის, ყველისა და ხილის ექსპორტი პერსპექტიულია

ელოდებიან თუ არა ევროპაში ქართულ პროდუქციას და რა ნორმები მოქმედებს სურსათის უვნებლობის კუთხით? ამ კითხვით, რადიო „კომერსანტმა“ ევროპაში, კერძოდ, შვედეთში მცხოვრებ ჟურნალისტს, ვერონიკა მენჟუნს მიმართა. მისი თქმით, შვედეთში კვების პროდუქტის ხარისხზე მუნიციპალიტეტებთან არსებული ეკოლოგიური კონტროლის სამსახურები ზრუნავენ, რომლებიც წლის განმავლობაში, რესტორნებსა და საკვებით მოვაჭრე მაღაზიებს შერჩევითობის პრინციპით ამოწმებენ. მათი კონტროლის ქვეშ ხვდებიან მწარმოებლებიც, რომლებიც მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზეა განთავსებული.

**„გასაგებია, რომ ერთი წლის განმავლობაში, ისინი ყველა ობიექტის შემოწმებას ვერ მოახერხებენ. რაც შეეხება უხარისხო საკვების გამო სანქციების დაწესებას, მსგავსი შემთხვევების შესახებ არ მსმენია, თუმცა ხშირია მაგალითები, როდესაც რესტორნებს ანტისანიტარიის გამო აჯარიმებენ“,** – აცხადებს მენჟუნი.

მისივე თქმით, სანიტარიისა და საკვების უვნებლობის სტანდარტების დარღვევის ფაქტებზე მედიაც მუშაობს. სწორედ ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს ერთ-ერთ მაღაზიაში, რომ ფარშს, რომელსაც ვადა გასდიოდა, ხელახლა აფასოებდნენ. ასევე იყო სკანდალი იაფფასიან ცხენის ხორცთან დაკავშირებით, რომელიც რუმინეთის გავლით, ევროპის ქვეყნებში შედიოდა და შემდეგ ძროხის ხორცისა და ნახევარფაბრიკატების სახით იყიდებოდა. თუმცა ამ შემთხვევაში, ეს მწარმოებლის პასუხისმგებლობის საკითხი იყო. ვერონიკა მენჟუნი ევროპაში არსებულ, ერთ საინტერესო ტენდენციაზე ამახვილებს ყურადღებას და აცხადებს, რომ ხალხი პროდუქტს პირდაპირ ფერმებში, უშუალოდ ბოსტნებიდან ყიდულობენ:

**„ზოგიერთ ადგილას იქმნება კოოპერატივები და გთავაზობენ, გახდე რამდენიმე კვალის თანამფლობელი, რაც იმას ნიშნავს, რომ შენ გარკვეულ საფასურს უხდი ადამიანებს შრომაში, რომლებიც ბოსტნეულს უვლიან. ამის შემდეგ, მიდიხარ და იღებ სალათს, პომიდორსა და კიტრს. ეს პრინციპი ჩვენთან ამერიკიდან შემოვიდა. ასეთი კოოპერატივი ბევრი არაა, თუმცა ტენდენცია უკვე აქეთკენ მიდის“.**

რაც შეეხება ქართულ პროდუქციას, ვერონიკა მენჟუნის აზრით, ევროპელები პირველ რიგში, ქართულ ღვინოს იცნობენ, რომელიც ევროპის სტანდარტებს შეესაბამება. მისი აზრით, ევროპის ბაზარზე პერსპექტიულია ქართული ყველის სახეობებისა და ხილის გატანაც.

*რადიო „კომერსანტი“*

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# ენერგოტარიფები შეცვლის ზღვარზე



## სემეკ-ის ახალი მეთოდოლოგია — ბლეფი თუ რევოლუციური ნაბიჯი

**პირველ ივლისს, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ-ი) წარმომადგენლებმა, ეკონომიკის ექსპერტებთან ერთად, ელექტროენერგეტიკის სექტორში ახალი სატარიფო მეთოდოლოგიების პროექტებზე იმსჯელეს. ამ ეტაპზე უცნობია, მოჰყვება თუ არა ახალი მეთოდოლოგიის დანერგვას ენერგოტარიფების ცვლილება, რადგან, როგორც სემეკ-ის თავმჯდომარე აცხადებს, ეს მეთოდი მხოლოდ ელექტროენერგიის განაწილების სექტორში ინერგება; არადა ჯერ კიდევ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, ენერგოტარიფების შემცირება „ქართული ოცნების" ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო. ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენლებს რბილად რომ შეახსენოთ, კი, მაგრამ სად გაქრა თქვენი დაპირება მაშინვე დაზეპირებული ფრაზით გიპასუხებენ — დანაპირები შევასრულეთ და დენისა თუ გაზის ტარიფიც გავაიაფეთო. სამწუხაროდ, ვერ შეედავები, რადგან აშკარად გააიაფეს, ოღონდ ეს ცვლილება იმდენად უმნიშვნელოა, რომ მისი სიკეთე ერთმა მომხმარებელმაც ვერ იგრძნო. სხვათა შორის, სწორედ მაშინ, როცა „ქართული ოცნების" თბილისის მერობის კანდიდატის მთავარი ოპონენტი, ნიკა მელია კომუნალური გადასახადების შემცირებას მეორე ტურის წინაც გვპირდება (საინტერესოა, განვლილი 9 წლის განმავლობაში, ნაციონალურ მოძრაობას ტარიფების შემცირებაში ხელს ვინ ან რა უშლიდა), სემეკ-ში ენერგოტარიფების ახალ მეთოდოლოგიაზე მსჯელობა დაიწყეს.**

სემეკ-მა უკვე დაასრულა მუშაობა ელექტროენერგიის განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების, ასევე ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიებზე. ახალი მეთოდოლოგია, რომელიც სემეკ-ის თავმჯდომარის, ირინე მილორავას მტკიცებით, აბსოლუტურად შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, გამოცდილებასა და სტანდარტებს, მიმდინარე წელს ამოქმედდება. უახლოეს დღეებში, კომისია ახალ სატარიფო მეთოდოლოგიებზე ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ასევე მედიის წარმომადგენლებთან იმსჯელებს.

ელექტროენერგიის განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია, ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტისთვის ტარიფების დადგენასა და კომისიის მიერ განსაზღვრული რეგულირების პერიოდში, ტარიფების ყოველწლიურ კორექტირებას ითვალისწინებს. აღნიშნული მეთოდოლოგიით ტარიფების დადგენისას, სემეკ-მა საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული „წამახალისებელი რეგულირების" (ზღვრული ფასების რეგულირების) პრინციპები გამოიყენა, რაც მომხმარებელთა ინტერესების დაცვის პირობებში, საწარმოს ფუნქციონირების ეფექტიანობის ზრდის სტიმულირებას უზრუნველყოფს. ეს კი, თავის მხრივ, ელექტროენერგეტიკის სექტორში მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს განვითარებას შეუწყობს ხელს.

ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს საწარმოს სტაბილურ ფუნქციონირებას, გაწეული გონივრული დანახარჯების ანაზღაურებასა და სამართლიანი მოგების მიღებას; მეტიც, ეს მეთოდოლოგია გულისხმობს გამჭვირვალე, სტაბილური, სამართლიანი სატარიფო განაკვეთების დაწესებას და მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიის მომსახურების განსხვავებულ ღირებულებას ასახავს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ, **ირინე მილორავამ** „ვერსიას" განუცხადა, რომ ტარიფის ახალი მეთოდოლოგია განაწილების სექტორს ეხება, ოღონდ ამ ეტაპზე, ენერგოტარიფების შემცირება ან გაიაფება არ იგულისხმება:

— ამ მეთოდოლოგიის მიზანი გამჭვირვალე და სამართლიანი ტარიფების დადგენაა, გარკვეული ინოვაციებიც შემოგვაქვს, რაც განაწილების სექტორში ინვესტიციების წახალისებას ეხება. შესაბამისად, ამ სექტორისთვის წამახალისებელი რეგულირება შევიმუშავეთ. რაც შეეხება დანარჩენ სეგმენტს, ჯერჯერობით, „ხარჯებს, პლუს, მეთოდოლოგია" გვაქვს, მაგრამ მალე „წამახალისებელ რეგულირებაზე" გადავალთ. ამ ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებით, საჯარო წარმოება უკვე დაწყებულია და დიდი ალბათობით, აგვისტოს დასაწყისში, ყველა სექტორში ახალი მეთოდოლოგია გვექნება.

**— ქალბატონო ირინე, ახალი მეთოდოლოგიის დანერგვას სამომხმარებლო ტარიფების კორექციაც მოჰყვება?**

— ახალი მეთოდოლოგია სამომხმარებლო ტარიფების კორექციას ყველა ვარიანტში იწვევს. ტარიფის გაზრდას ან შემცირებას არ ვგულისხმობ, მაგრამ ყველა ვთანხმდებით, რომ ენერგოტარიფი სამართლიანი და მომხმარებელზე ორიენტირებული უნდა იყოს, იმავდროულად, ინვესტორისა და კომპანიის ინტერესებიც უნდა გავითვალისწინოთ. ტარიფის ზრდასა თუ შემცირებაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ სამართლიანი ტარიფების შემოღებისკენ მივდივართ.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **დავით მირცხულავამ** „ვერსიასთან" საუბრისას აღნიშნა, რომ სემეკ-ი მართლაც კარგ ნაბიჯებს დგამს, რადგან ტარიფის ახალი მეთოდოლოგია ეკონომიკის ექსპერტებთან ერთად განიხილა:

— სემეკ-ის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია დარგს წაადგება. საქართველოს ენერგეტიკაში აუარებელი ინვესტიცია სჭირდება. ჩვენი მდგომარეობა დალხინებული არ არის — დეფიციტი ახლაც გვაქვს და ნებისმიერი გათვლით, მომავალშიც საკმაოდ დიდ დეფიციტს უნდა ველოდეთ. ენერგეტიკის გადარჩენის ერთადერთი გზა მხოლოდ ჰიდრო ან თბოსადგურების მშენებლობა არ არის, აუცილებელია, ამ დარგისა და ქსელების განვითარება. ამ მიმართულებით, „თელასს", „ენერგო-პრო ჯორჯიასა" და კახეთის გამანაწილებელ კომპანიას უზარმაზარი სამუშაოები აქვთ ჩასატარებელი.

**— ბატონო დავით, როგორ გგონიათ, ამ მეთოდოლოგიით, დენის ან გაზის ტარიფებიც შეიცვლება?**

— სამომავლოდ, ასეც იქნება, მაგრამ ახლავე ნუ მომთხოვთ, გიპასუხოთ, ტარიფები შემცირდება თუ არა. ახალი მეთოდოლოგია, რომელიც კომისიამ შეიმუშავა, საინვესტიციო პროგრამის გრძელვადიანად დაგეგმვის საშუალებას იძლევა, რომელიც უამრავჯერ გადამოწმდება, შედეგად კი მარეგულირებელი კომისია გრძელვადიან ტარიფს დაამტკიცებს, რაც ქსელების, ნაგებობების, ჰიდრო და თბოსადგურების, გადამცემი ხაზების საიმედოობაზე იქნება ორიენტირებული. ახალი მეთოდოლოგია მომხმარებლის ინტერესებზეა მორგებული. სემეკ-ში წარმატებული რეფორმა პირველად მზადდება და პირველად უნდა ჩატარდეს გამანაწილებელი კომპანიების ტექნიკური და ფინანსური აუდიტი. შემდეგ ეს კომპანიები სამ ან ხუთწლიან საინვესტიციო გეგმას წარადგენენ, რომელსაც სემეკ-ი მოწვეული ექსპერტებისა და დამოუკიდებელი აუდიტორების საშუალებით კიდევ ერთხელ გადაამოწმებს და კომპანიებისთვის ახალ ტარიფებს დაადგენს.

ახალი მემარჯვენეების ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელმა, **ლევან კალანდაძემ** „ვერსიას" განუცხადა, რომ ამ ეტაპზე, ენერგოტარიფის გაზრდასა ან შემცირებაზე კი არა, ტარიფის ოპტიმიზაციაზე მსჯელობენ:

— ბუნებრივია, სწორი პოლიტიკის შემთხვევაში, ეფექტური საინვესტიციო პროექტების განხორციელებაში, ოპტიმიზაცია ტარიფის შემცირებას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, რასაც ახლა სემეკ-ი აკეთებს, მართლაც, მნიშვნელოვანია, რადგან მსგავსი მიდგომა აქამდე არ ყოფილა. ტარიფი საკმაოდ რთული ფენომენია, რადგან მოაზრებულია სახელმწიფო პოლიტიკა, მომხმარებლებისა და იმავდროულად, გრძელვადიან პერსპექტივაში, ინვესტორის წმინდა კომერციული, მერკანტილური ინტერესი. ხელისუფლებები ყოველთვის ცდილობდნენ, გაემარტივებინათ საკუთარი საქმე და ტარიფთან მიმართებაში გამარტივებულ მიდგომებს აყალიბებდნენ, ამიტომ იყო დავა, რომ ტარიფი ინვესტორის ან პირიქით — მომხმარებლის ინტერესებზე მორგებული-ყო. დღეს, როდესაც კომისია ე. წ. წამახალისებელი რეგულირების დანერგვას ცდილობს, ეს, ერთი მხრივ, იმაზეა ორიენტირებული, არ დაზარალდეს მომხმარებელი, მეორე მხრივ კი, წახალისდეს ინვესტორი და მესამე — მივაღწიოთ გარკვეულ ბალანსს, რათა სახელმწიფო ინტერესიც გავითვალისწინოთ. შესაძლოა, ხმამაღალ ნათქვამად ჩამითვალოთ, მაგრამ სემეკ-ის ეს ნაბიჯი, მართლაც რევოლუციურია.

**— ბატონო ლევან, ტარიფის ახალი მეთოდოლოგიით, რა შეიცვლება?**

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ამით „წამახალისებელი რეგულირება" ინერგება, შორეულ პერსპექტივაში, ეს ნიშნავს, რომ ინვესტორს საშუალება ექნება, გაცილებით მეტი ინვესტიცია განახორციელოს. რაც მთავარია, ენერგეტიკულ სფეროში განხორციელებული ინვესტიცია, განვითარებასა და პროგრესზე ორიენტირებული იქნება. თავისთავად, განვითარებას ეფექტურობა მოაქვს, ეფექტურობა კი პირდაპირ აისახება ტარიფზე.

**— ახალი სისტემის დანერგვის შემდეგ, მომხმარებელი სიკეთეს როდის იგრძნობს?**

— ამ ეტაპზე ახალი მეთოდოლოგია ენერგოგანაწილების სფეროში ინერგება, მეორე ეტაპზე, სამი-ხუთი წლის შემდეგ, გენერაციაში დაინერგება. მას შემდეგ, რაც ტარიფის სტრუქტურის დადგენის სრული ოპტიმიზაცია განხორციელდება, ეს საშუალებას მოგვცემს, დანერგვიდან უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში, მომხმარებელმა კონკრეტული ბენეფიტები იგრძნოდ.

ეკონომიკის ექსპერტმა, **ირაკლი ლექვინაძემ** „ვერსიასთან" საუბრისას აღნიშნა, რომ ტარიფის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებისას, სემეკ-ის წვერებმა ევროპის წამყვანი ქვეყნების ინოვაციური მიდგომები და საინტერესო გამოცდილება გაიზიარეს:

**„ამ ქვეყნების ბაზარი ბევრად ლიბერალურია და ორიენტირებულია, როგორც ინვესტორზე, ასევე მომხმარებელზე. ამ მეთოდოლოგიაში ნამდვილადაა მცდელობა, ოპტიმალურ წერტილს მიაგნონ, რომელიც ერთნაირად სასარგებლო იქნება მომხმარებლებისა და ინვესტორებისთვის. როგორც წესი, მომხმარებლებისთვის მთავარია, ელექტროენერგია, გაზი და წყალი სტაბილურად მიიღონ, ხოლო ტარიფი ოპტიმალური იყოს. ვფიქრობ, სემეკ-ში ამ გზის ძიების საკმაოდ საინტერესო პროცესი მიმდინარეობს, რომელიც უფრო ორიენტირებული იქნება როგორც ინვესტორზე, ასევე მომხმარებლებზე და საბოლოოდ, ჩვენი მიზანიც სწორედ ესაა".**

ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში, **მირონ ფირცხელანი** „ვერსიასთან" საუბრისას აცხადებს, რომ სემეკ-ის მიერ შემუშავებული ტარიფების ახალი მეთოდოლოგია თვალთმაქცობაა:

**„ვიდრე ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია თვალთმაქცობას თავს არ დაანებებს და ელექტროენერგიას თავისუფალი საბაზრო პრინციპებით არ შევისყიდით, ნებისმიერი ასეთი ქმედება მხოლოდ თავისმოტყუება იქნება. ვფიქრობ, უნდა შეიცვალოს სემეკ-ის დამოკიდებულება ელექტრობაზრის მიმართ, რაც ნიშნავს, ელექტროენერგია საბაზრო ფასში შევისყიდოთ და არა წინასწარ დადგენილი მეთოდოლოგიით, რომლის შეცვლის უფლება არავის აქვს".**

რაც შეეხება სამომხმარებლო ტარიფების შემცირებას, მირონ ფირცხელანმა „ვერსიას" განუცხადა, რომ ახალი მეთოდოლოგიის დანერგვით არაფერი შეიცვლება, რადგან ეს მხოლოდ თამაში და თავისმოტყუებაა.

## ვერსიანიუსი

### ფოთის საკრებულოს ახლადარჩეულმა წევრმა მეზობელი დაჭრა




ფოთის საკრებულოს ახლადარჩეულმა წევრმა, კოალიცია „ქართული ოცნების" საარჩევნო სიის მეორე ნომერმა და „თავისუფალი დემოკრატების" ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარემ, თამაზ სოსელიამ მეზობელი გენადი ბელქანია დაჭრა.

გავრცელებული ინფორმაციით, ისინი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მათ შორის შელაპარაკება სუფრასათან მოხდა. არსებული ცნობით, თამაზ სოსელიამ გენადი ბელქანიას ჭრილობა ყელის არეში მიაყენა.

მომხდართან დაკავშირებით ოჯახის წევრები, მმართველი გუნდის წარმომადგენლები და მეზობლები კომენტარს არ აკეთებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თამაზ სოსელია დაკავებულია. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 117-ე მუხლით, რომელიც სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

*„ინტერპრესნიუსი"*

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# კოოპერატივების საერთაშორისო დღე საქართველოშიც აღინიშნა

**5 ივლისს, პირველად საქართველოში, კოოპერატივების საერთაშორისო დღე აღინიშნა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე, გიორგი მიშელაძე პირობას დებს, რომ კოოპერატივების საერთაშორისო დღეს, რომელსაც მთელ მსოფლიოში ივლისის პირველ შაბათს ზეიმობენ, ყოველწლიურად აღნიშნავს. კოოპერატივების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაიმართა, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ვიცე-პრემიერი, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი, ENPARD-ის წარმომადგენლები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დამფუძნებლები და მათი წევრები, ასევე უცხოური ორგანიზაციების წარმომადგენლები და მთავრობის სხვა წევრები დაესწრნენ. ამ დღეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ოფიციალური სტატუსი 75 კოოპერატივს გადასცეს, ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში უკვე 100 კოოპერატივი ფუნქციონირებს.**




სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის, **შალვა ფიფიას** განცხადებით, კოოპერატივის საერთაშორისო დღის აღნიშვნის ტრადიცია საქართველოშიც დამკვიდრდება:

**„მნიშვნელოვანია ისიც, რომ უკვე 100 კოოპერატივი შეიქმნა საქართველოში, რადგან კოოპერაცია ის გზაა, რომელიც, ფაქტობრივად, ყველა განვითარებული ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორმა განვლო. შესაბამისად, ეს არის გზა, რაც საშუალებას გვაძლევს, იმ ფერმერების კონსოლიდაციას შევუწყოთ ხელი, რომლებიც მცირემიწიანები არიან. კოოპერატივის საშუალებით, გავზრდით საჰექტარო მოსავლიანობას, ავამაღლებთ წარმოების ხარისხს, უფრო ეფექტურად ვაწარმოებთ ისეთ პროდუქციას, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება, როგორც შიდაბაზარზე, ასევე ექსპორტზე, მათ შორის, ევროპის ბაზარზეც“.**



საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**, ეთნოგრაფიულ მუზეუმში მიწვეულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დამფუძნებლებსა და წევრებს გაესაუბრა. ამის შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს მოუწოდა, ხელი შეუწყონ გლეხებისა და ფერმერების ცნობიერების ამაღლებას, რათა უკეთ გაითავისონ კოოპერაციის სიკეთე:

**„სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე, ჩვენი ეკონომიკის ფეხზე დადგომა შეუძლებელია. წლების განმავლობაში, წინა ხელისუფლების მიზანმიმართული პოლიტიკის გამო, სოფელს ყურადღებას საერთოდ არ აქცევდნენ. სააკაშვილისა და ბენდუქიძის იდეოლოგია გახლდათ, რომ სოფელი გაღარიბებულიყო, დაცლილიყო. არადა, სოფლის ძლიერება, ქვეყნის ძლიერებას ნიშნავს. ჩვენი მთავარი ამოცანა სწორედ ის არის, რომ სოფლის მეურნეობა განვავითაროთ“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, ვიცე-პრემიერმა, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა, **კახა კალაძემ** აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება მნიშვნელოვანია, რადგან სოფლის მეურნეობა, საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტია:

**„ჩვენ მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს სოფლის მეურნეობის განვითარებას, რადგან წლების განმავლობაში, წინა ხელისუფლების პირობებში, ეს სფერო მიტოვებული იყო და არანაირი ხელშეწყობა არ ყოფილა. არადა, ამ ქვეყანაში ყველაფერი უხვად მოდის, მაგალითად, კიტრის, პომიდვრის, ან თუნდაც კარტოფილის წარმოება ჩვენც ხომ შეგვიძლია, რატომ უნდა შემოდიოდეს ეს პროდუქცია უცხოეთიდან? ჩვენც ხომ გვაქვს შესაძლებლობა, საკმაოდ ხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ვაწარმოოთ, ამიტომ სოფლის მეურნეობის განვითარება აუცილებელია“.**

5 ივლისს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსა და შპს „მექანიზატორს“ შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც სტატუსის მქონე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობას ითვალისწინებს. მემორანდუმის ფარგლებში, კოოპერატივები შპს „მექანიზატორის“ სერვისს, 5%-დან 20%-მდე ფასდაკლებით მიიღებენ. შპს „მექანიზატორის“ გენერალურმა დირექტორმა, **ზურაბ ჩხაიძემ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ კომპანია უკვე სამი წელია არსებობს და ამ ხნის მანძილზე, დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა სერვისს სთავაზობს და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითაც უზრუნველყოფს. რაც შეეხება მემორანდუმს, ზურაბ ჩხაიძემ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ის ფერმერები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში არიან გაწევრიანებულები ან უშუალოდ კოოპერატივებს ხელმძღვანელობენ, შპს „მექანიზატორის“ სერვისს 5%-დან 20%-მდე ფასდაკლებით მიიღებენ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ, **გიორგი მიშელაძემ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ 5 ივლისის მონაცემებით, საქართველოში ზუსტად 100 კოოპერატივი ფუნქციონირებს, რომლებსაც სააგენტომ ოფიციალური სტატუსი მიანიჭა. 25 კოოპერატივს ასეთი სტატუსი უკვე ჰქონდა, მაგრამ 5 ივლისს, ეთნოგრაფიულ მუზეუმში, 75 კოოპერატივს ოფიციალური სტატუსი გადასცეს:

**„100 კოოპერატივში 953 მეპაიეა გაწევრიანებული, მათ შორის 201 ქალბატონია, ხოლო საპაიო ფონდი 2 000 000 ლარამდეა, რაც ბოლო 4 თვის მუშაობის შედეგია. იმედი მაქვს, ჩვენი ფერმერები და გლეხები კარგად გაიაზრებენ კოოპერაციის სიკეთეს და სახელმწიფოსთან ერთად, ამ გრძელ გზას ეფექტურად გაივლიან. სიმართლე გითხრათ, ფერმერებისგან ნაკლებ აქტივობას ველოდი, რამეთუ მძიმე საბჭოური გამოცდილება, რასაც „კოლხოზი“ ერქვა, ბევრს დღესაც მეხსიერებაში აქვს ჩარჩენილი. ასეთ ფერმერებს ჰგონიათ, რომ ვინმე ძალით გააერთიანებს კოოპერატივში, ან რამეს წაართმევს. თუმცა ამ ოთხი თვის მანძილზე, ინტენსიური შეხვედრების დროს, ფერმერებმა დაინახეს, რომ ვსაუბრობთ თანამედროვე, ევროპულ, საერთაშორისო დონის კოოპერატივებზე“.**

თანამედროვე და ევროპული დონის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება ევროკავშირის ატაშემ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებში, **ხუან ეჩანოვემ**, რომელმაც აღნიშნა, რომ კოოპერატივების თემაზე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში წერდა უდიდესი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე:

**„80 წლის წინ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს, ქვეყნის ტერიტორიაზე, ასობით ნებაყოფლობითი კოოპერატივი არსებობდა. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, ევროპასა და საქართველოში კოოპერაციის პროცესი ანალოგიურად მიმდინარეობდა, მაგრამ საბჭოთა რეჟიმის დროს, ეს ტრადიცია შეწყდა — ის, რასაც ნებაყოფლობითი კოოპერატივი ერქვა, აღმოიფხვრა. ევროპაში ეს ტენდენცია გაგრძელდა და ამჟამად, ფერმერების 75%, კოოპერატივების ნებაყოფლობითი წევრები არიან. ევროპის კონტინენტის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 48% კი კოოპერატივების წილზე მოდის. თქვენი ხელისუფლება დღეს ცდილობს, რომ ამ პროცესს ფეხი აუწყოს, რათა საქართველო ევროპის კონტინენტზე დააბრუნოს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება უდიდეს საშუალებებს აძლევს საქართველოს, რომ სექტორის მოდერნიზაცია განახორციელოს და ევროპას დაუახლოვდეს“.**

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთობა, მცირე მეურნეობის მქონე ფერმერების კოოპერატივებში გაერთიანების მხარდაჭერასაც გულისხმობს. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENPARD-ის პროგრამის ერთ-ერთი, ძირითადი მიზანიც სწორედ ეს არის, რაც ახალი ფერმერული ჯგუფების ხელშესაწყობად, გრანტების გამოყოფასა და ტექნიკურ დახმარებას გულისხმობს. ევროკავშირის მიერ, სპეციალურად შეირჩა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამ პროგრამას განახორციელებენ.



## პატიმრის დღიური

# ციხის კოლორიტ იოსკა ოზმანოვის ღიმილ-სევდიანი თავგადასავალი

პატიმარი №0578

**იოსკა ოზმანოვი თემქელი იეზიდი იყო, რომელიც მთელი ცხოვრება ფულს იმისთვის შოულობდა, წამალი ეყიდა და ვენებში გაეშვა. კომუნისტების დროს „სროკზე“ წასვლა ორჯერ მოასწრო, მერე ამოისუნთქა — მილიციას თანხას უხდიდა და თავი იოლად გაჰქონდა, მაგრამ შემდეგ, როცა მილიციას პოლიცია დაერქვა, გაუჭირდა, 2010 წელს მეხუთედ დაიჭირეს და ნაცნობი გზა გაატარეს — „კაპეზე“, სასამართლო, გლდანის ციხე. 60 წელს მიტანებული იოსკა ციხეში თავის ისე გრძნობდა, როგორც თევზი — წყალში. ახლაც წამალზე იყო დაჭერილი და ამ ამბავს თანამოსაკნეებს საინტერესოდ უყვებოდა.**

— აფთიაქში შევედი, შპრიცი ვიყიდე და დავინახე, რომ გარეთ ორი პოლიციელი მელოდა. მივხვდი, დამიჭერდნენ, ფაქტიც ჯიბეში მედო. ამიტომ, გოგონებს ვკითხე, ტუალეტი სად გაქვთ-მეთქი, გავედი და გავიჩხირე, ბარემ კაიფში დამიჭირონ-თქო. გამოსვლა და აყვანა ერთი იყო. წამიყვანეს ნარკოლოგიურში და ამომიგდო...

— რატომ გარისკე, იოსკა, ეგებ არ დაეჭირე? — უთხრა პატიმარმა ნომრით 0578.

— გამაგიჟებ შენა, რას ჰქვია, არ დავეჭირე?! მე ახლა ექთანს ვგავვარ? არა, ხო?! ჰოდა, ჩემი სიფათის კაცი, ღამის 12 საათზე აფთიაქში შპრიცს რომ ყიდულობს, ე.ი. იკეთებს, რა. თან წინა დღესაც გაკეთებული მქონდა და უეჭველი ამომიგდებდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, შობა გათენდა. იოსკა ყურადღებით დააკვირდა პატიმრებს, რომლებიც ლოცულობდნენ, მერე კი გამოაცხადა — ჩვენ, იეზიდები, თაყვანს მზეს ვცემთ. მგონი, ასე სჯობია, მზეს ხედავ მაინც, თქვენი ღმერთი კი არავის უნახავს...

არავინ გაეპასუხა, საღამოს კი ერთმა ჰკითხა:

— იოსკა, ღამე რომ არ ჩანს მზე, მაშინ რას შვრები, რაზე ლოცულობ?!

ოზმანოვი გაყუჩდა, მერე ნარზე წამოჯდა და ქადაგად დადგა.

— ხედავ, კაცო, მაგაზე არ მიფიქრია. ღამით მზეს ხომ ამერიკელები გვპარავენ და ჩვენ არ გვაქვს. არა, ღამე სანთელი უნდა დავანთო, — თქვა იოსკამ და მაშინვე წამოხტა, სალოცავ კუთხესთან მივიდა, სანთელი დაანთო და ბუტბუტი დაიწყო. როცა რიტუალს მორჩა, პატიმრებმა ჰკითხეს, რას ამბობდიო და გადაირია ოზმანოვი.

— მე თქვენ მართლა იდიოტი ხომ არ გგონივართ? მამაო ჩვენო, მამაო ჩვენოსავით ვიცი, — ამაყად გამოაცხადა და რადიოს მიუჯდა. საინფორმაციოს მოსმენის შემდეგ, იოსკამ ხელები გაშალა და საკნის შუაგულში დადგა.

— რას გვიშვრება, კაცო, ეს სააკაშვილი ქართველებს, იჭერს და იჭერს. ერი ვინ უნდა გაამრავლოს, ნახე, რამდენი კაცი ზის, — დარდობდა ოზმანოვი.

— რომელ ქართველებს, იოსკა, შენ იეზიდი არა ხარ?!

— იეზიდი ისე ვარ, საბუთებში მიწერია, თორემ რაც ჩვენს უხუცესებს თავი ახსოვთ, ყველა აქ ვართ დაბადებული და ქართველი ვარ, მა რა ჩემი ფეხები ვარ. ისე, ბიჭებო, ბუასილი მაწუხებს, მგონი და ოპერაციას არ გამიკეთებენ? — მოულოდნელად იკითხა იოსკამ.

— მაგას თეთრი ვირი შველის, აქაური ექიმი ვერაფერს გიშველის, — უთხრეს პატიმრებმა ღიმილით.

— აი, მაშინ უნდა დამწვარიყო ციხე, იოსკა ოზმანოვს ეს



„პერვახოდკები“ ღადაობას რომ დაუწყებდნენ. რა თეთრი ვირი, ბიჭო, ნაწლავი ისე მივარდება, თავი კუდიანი მგონია, — გააპროტესტა იოსკამ.

— ეშმაკს კი გევხარ, კუდიც გჭირდება, ის შენი ნატაშკაც რქებს დაგადგამს, ახლა რომ გაიძახი, ჩემს მეტი არავინ უყვარსო და ეგ არის, — გადაუწურეს პატიმრებმა იმედი.

— ჯერ ერთი, მთავარია, რქები ცოლმა არ დამადგას და ვერც დამადგამს, ის კაცი მანახა, 59 წლის შიკესთან რომ მივა, აი, ნატაშკა კი შეიძლება, მართლა გამექცეს. არადა, რა ქალია, იცი? მთელი ერთი კვირა ვდიე, სანამ შევაბამდი. ოხ რა, — ამოიოხრა იოსკამ და გულიც ამოაყოლა.

— შიკე რა არის? — იკითხა ერთ-ერთმა პატიმარმა.

— რა კი არა, ვინ. ჩემი ცოლის სახელია, ბედოვლათო. ხვალ უეჭველი ექიმს უნდა გავესინჯო, საოპერაციო ვარ, — მტკიცედ გადაწყვიტა იოსკამ და მართლაც, მეორე დღეს სამედიცინო პუნქტში წაიყვანეს. ორი დღის შემდეგ, იოსკა ოზმანოვს სასჯელაღსრულების სამინისტროს ხარჯზე ბუასილის ოპერაცია გაუკეთეს და ერთ დღეში საკანში დააბრუნეს.

— ვახ, კაცო, გადავირევი. ექიმებს ვეუბნები, ერთი დღის წინ ოპერაცია გამიკეთეთ, სანამ ნაკერებს მამხსნით, მანამდე მაინც გამაჩერეთ-თქო. არაო, ნაკერების მოხსნა არ გინდაო, თავისით გაიწოვსო. გაიწოვს რა, ჩემი უკანალი „ზიმა-ლეტაა“? — ცხარობდა ოზმანოვი.

— იოსკა, „ზიმა-ლეტა“ რა შუაშია?

— ეგ რა, ჰაერს არ გაიწოვს ხოლმე? მაშინ „ზიმა-ლეტა“ რატომ ჰქვია, ან „ზიმა“ ერქმეოდა, ან „ლეტა“... ვახ, გადავირევი რა, კაცის საავადმყოფოდან გამოგდება გაგიგიათ? გარეთ მაინც გავეგდე, ისევ თქვენთან მომიყვანეს. ექიმი მორფს არ მიკეთებდა, კაცო, წელსქვემოთ გაგთიშავ მარტოო. მე ვუთხარი, წელსქვემოთ რომ მთიშავ, ნადზირატელი ხომ არ ხარ, ექიმი ხარ, წამალი გამიკეთე-თქო, — არ ცხრებოდა იოსკა.

საღამოს საკნის კარი გაიღო და თავი ოფიცერმა, ზაზა ძიძიგურმა შემოჰყო. ოზმანოვს შეხედა და მაგიდაზე რაღაც შეხვეული დადო.

— იოსკა, ეს ექიმმა გამომატანა, სანთლებია. კი, იცი, სადაც უნდა გაიკეთო და ექიმმა თქვა, რაც შეიძლება ღრმად შეიდოსო, — გაიკრიჭა ძიძიგური.

— ბატონო ოფიცერო, ხედავთ, მე რა მოკლე თითები მაქვს, ვერ მოვახერხებ და ბარემ სიკეთე ქენი, რადგან წამალი მომიტანე, შენ გამიკეთე, თან ნახე, რამსიგრძე თითი გაქვს, — ღიმილითვე უპასუხა იოსკამ და მაშინვე ინანა. ძიძიგურს სახე აეჭრა და ოზმანოვისკენ დაიძრა.

— მაიცა, კაცო, არ დამარტყა, გუშინ შენი სიგრძე ნაწლავი ამომაჭრეს, — განწირული ხმით იყვირა იოსკამ.

ძიძიგური მიუახლოვდა და კბილებში გამოსცრა — დაჯექი. ოზმანოვი ნარზე ჩამოჯდა. ოფიცერმა ხელი მოწყვეტით მოიქნია, პატიმარს სახეში გაარტყა და კამერიდან გავიდა.

საკანში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. იოსკამ ერთი დაიქსუტუნა, შემდეგ საკანს თვალი მოავლო და ნაძალადევი ღიმილით თქვა:

— ისე, ხომ მაგრად ვიხუმრე ბიჭებო?!

— კი, იოსკა, მაგრად იხუმრე, მაგრამ ამ უსისხლოებს იუმორის გრძნობა არ აქვთ, — უპასუხეს თანასაკნელებმა.

რამდენიმე დღეში, ოზმანოვს პაემანზე დაუძახეს. იქიდან მობრუნებული ცოტა ხანს ნერვიულად დადიოდა საკანში, მერე კიდევ ბოლო ხმაზე იყვირა:

— არა, რა, გამაგიჟებს ეს ქალი. დედაჩემი იყო მოსული, 80 წლის არის და ასე მითხრა, პენსიიდან 30 ლარი ბარათზე ჩაგირიცხეო. გადავირიე, კაცო, მე რად მინდა მაგის 30 ლარი. გულზე ვსკდები, რა, — გამოაცხადა ოზმანოვმა, თავის ნარზე ნაცემი ძაღლივით აძვრა და თავზე ბალიში დაიფარა.

ერთ საათში იოსკას მორიგი გამოსვლა ჰქონდა:

— კაცო, ვიფიქრე და რად უნდა დედაჩემს პენსია? საჭმელს ჩემები აჭმევენ, ეზოდან არსად გადის, სიგარეტს ეგ არ ეწევა და წამალს ეგ არ იკეთებს. არ მიფიქრია, სად მიაქვს ხოლმე პენსია და ერთი უნდა დავინტერესდე, — უკვე სხვანაირად ჭიკჭიკებდა იოსკა.

იოსკა ოზმანოვს 2013 წელს შემთხვევით შევხვდი. მოკითხვის შემდეგ, დედამისის პენსიის ამბით დავინტერესდი.

— ეჰ, ძმაოჯან, ასე მითხრა, შე იდიოტო, გადასახადებს რომ არ იხდი და შუქი, გაზი და წყალი მუდმივად რომ გაქვს, საიდანო. მერე ის გამახსენდა, კამერაში ხშირად რომ მეძახდით იდიოტს და გამიხარდა. იცი, რა გამიხარდა? მართალი რომ იყო დედაჩემი, — დაასრულა მონოლოგი იოსკამ და... ერთი თვის შემდეგ აფთიაქის რიგში დააკავეს...

იოსკა ოზმანოვი ექთანს ნამდვილად არ ჰგავდა და შესაბამისად, ისევ ვერ ახსნიდა, რად უნდოდა შპრიცები.

## ინიციატივა

# „ოცნება“ ადმინისტრაციულ პატიმრობას 15-დღემდე ამცირებს

„ნაციონალებმა 90-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა იმის გამო შემოიღეს, რომ მათ წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლებმა მასობრივი ხასიათი მიიღო!“



მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**ადმინისტრაციული პატიმრობის ზედა ზღვარი 90-დან 15 დღემდე მცირდება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების პროექტი პარლამენტს განსახილველად უკვე წარედგინა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ვახტანგ ხმალაძისა და მისი პირველი მოადგილის, შალვა შავგულიძის მიერ მომზადებული პროექტის თანახმად, ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა არ შეიძლება 15 დღეზე მეტი იყოს. შესაბამისი ცვლილება შედის კოდექსის ყველა იმ მუხლში, რომლითაც ადმინისტრაციული პატიმრობის 15 დღეზე მეტხნიანი ვადაა განსაზღვრული.**

როგორც კანონპროექტის ავტორები განმარტავენ, ადმინისტრაციული წესით 90-დღიანი პატიმრობა პროპორციულობის პრინციპს არ შეესაბამება, რასაც ადასტურებს ევროპული და სხვა განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა, სადაც, როგორც წესი, ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღეს არ აღემატება. დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ადმინისტრაციული პატიმრობა დგინდება და გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში — ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის 90 დღემდე ვადით.

ამავე დროს, სამართალდამცავი ვალდებული ხდება, ადმინისტრაციული დაკავებისთანავე, პირს დაკავების მიზეზი და მისი უფლებები განუმარტოს. დღეისთვის, სამართალდამრღვევი პირისთვის დაკავებისთანავე უფლებების განმარტების ვალდებულებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ ითვალისწინებს და განმარტება სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას ეძლევა, დაკავებიდან ოქმის შედგენამდე კი, როგორც კანონპროექტის ავტორები განმარტავენ, შეიძლება, საკმაოდ დიდი დრო გავიდეს.

**„ეს არღვევს პირის უფლებებს, რადგან დაკავებისთანავე უნდა იცოდეს დაკავების მიზეზი და გააჩნდეს ამომწურავი ინფორმაცია, რა უფლებები აქვს ადმინისტრაციული წარმოების პროცესში“,** — აღნიშნულია კანონპროექტის თანდართულ განმარტებით ბარათში.

პარლამენტში ინიცირებული პროექტის თანახმად, ადმინისტრაციული დაკავებისას, დამკავებელი ვალდებული იქნება, პირს დაკავებისთანავე გასაგები ფორმით განუმარტოს: რა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინა და რა არის დაკავების საფუძველი; აქვს ადვოკატის აყვანის უფლება; თუ სურს, მისი დაკავებისა და ადგილსამყოფელის შესახებ აცნობებენ მის მიერ დასახელებულ ახლობელსა და ადმინისტრაციას (სამუშაოს ან სწავლის ადგილის მიხედვით).

პროექტით, არასრულწლოვნის დაკავებისას, აუცილებლად, პირველი შესაძლებლობისთანავე აცნობებენ მშობლებს ან კანონიერ წარმომადგენლებს. გარდა ამისა, პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტით, დაუშვებელ მტკიცებულებად განისაზღვრება ის განცხადება, რომელსაც დაკავებული აღნიშნული განმარტების მიღებამდე გააკეთებს.

საპარლამენტო უმრავლესობაში ადმინისტრაციული პატიმრობის 15 დღემდე შემცირებას მიესალმებიან. როგორც უმრავლესობის წევრმა, ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, 90-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა ძალიან სჭირდებოდა წინა ხელისუფლებას, რათა ადმინისტრაციული დარღვევა ადამიანზე ზემოქმედების ბერკეტი იყო.

როგორც „ვერსიასთან“ საუბრისას არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ დამფუძნებელი ბელა ნიკოლაიშვილი ამბობს, თავის დროზე, 90-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა იმის გამო შემოიღეს, რომ წინა ხელისუფლების წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლებმა მასობრივი სახე მიიღო. დღეს კი ამის საჭიროება აღარაა და ხელისუფლება ნორმალურ ვადებს აბრუნებს:

**„15-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა იყო კომუნისტების დროს, შევარდნაძის პერიოდშიც, შემდეგ, ნაციონალებმა ჯერ 30-მდე გაზარდეს, მერე– 90-დღემდე. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობამ მასობრივი ფორმა მიიღო და ამდენ ხალხს ბრალს სისხლის სამართლის დანაშაულისთვის ვერ წაუყენებდნენ, ამიტომ გზა გამონახეს, რათა ე.წ. სამართალდამრღვევები მასობრივად დაეკავებინათ, 15 დღე ეცოტავებოდათ და დაჭერილებს მეტი ვადით, ე.წ. კაპეზეში მძიმე პირობებში ამყოფებდნენ. დღეს კი, ამის საჭიროება, უბრალოდ, აღარა და საჭირო გახდა, ცივილურ, ნორმალურ ვადას ანუ 15 დღეს დაბრუნებოდა — ასეა იმ ქვეყნებში, სადაც ადმინისტრაციული პატიმრობა გამოიყენება, თუმცა ისეთი ქვეყნებიცაა, სადაც ასეთი ტიპის პატიმრობა საერთოდ არ არსებობს. შესაძლოა, დასავლეთის მხრიდანაც იყო გარკვეული მინიშნება. საერთოდ, უცხოელების, განსაკუთრებით, ევროპელების მოთხოვნები ლიბერალიზაციისკენაა მიმართული, მათ შორის, სასჯელის გამოყენების თვალსაზრისით“.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | 9 | 5 | | | | 7 | |
| | 2 | | | | | | 1 | |
| | | | | 3 | | | | |
| | 9 | 6 | | | 1 | 7 | 2 | |
| | | 2 | 7 | | 6 | 9 | | |
| | 8 | 7 | 2 | | | 5 | 3 | |
| | | | | 9 | | | | |
| | 6 | | | | | | 5 | |
| | 5 | | | | 4 | 2 | 9 | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2 | | | 6 | | |
| 4 | | | 6 | | | 8 | | 1 |
| | | | | 4 | 8 | 3 | | |
| | 2 | | | | 5 | | 6 | 7 |
| | | | | | | | | |
| 1 | 5 | | 9 | | | | 2 | |
| | | 7 | 1 | 6 | | | | |
| 3 | | 1 | | | 2 | | | 5 |
| | | 8 | | | 3 | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | 2 | 1 | | | | | 3 |
| | 6 | | | | | | | |
| | 3 | 1 | | 5 | | 9 | | 6 |
| | | | 8 | | 5 | | 6 | |
| | | 8 | | | | 3 | | |
| | 4 | | 2 | | 9 | | | |
| 2 | | 6 | | 8 | | 7 | 1 | |
| | | | | | | | 3 | |
| 5 | | | | | 7 | 8 | | 2 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | | | | | 5 | 6 |
| | | | 8 | 6 | | 3 | 2 | |
| | 9 | | | 3 | | 7 | | 4 |
| | | | | 2 | 7 | | 4 | |
| 7 | | | | | | | | 8 |
| | 4 | | 6 | 8 | | | | |
| 8 | | 6 | | 9 | | | 3 | |
| | 5 | 9 | | 7 | 8 | | | |
| 1 | 3 | | | | | 9 | | |

# აიტერით და... გაირუჯეთ

სოლარიუმი, ტონალური საშუალებები, კრემები ნამზეურის ეფექტით — რა აღარ მოიფიქრა ადამიანმა, კანს რომ ლამაზი და თანაბრად გარუჯული ფერი მიეცეს. ზომიერი და მკაცრი კლიმატის ქვეყნების მაცხოვრებლებს არ სურთ, ისე გამოიყურებოდნენ, როგორც მშობლიური ბუნება „კარნახობს". ბევრმა ადამიანმა უკვე გამოსცადა კანის „გამუქების" ახალი პროცედურა — მელანოთანის ინექცია — ეს ახალი ნივთიერებაა, რომელიც პანაცეად ექცა მანდილოსნებს, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც ძალიან თეთრი კანი აქვს. მელანოთანი, რომლის ფორმულაც ავსტრალიელმა მეცნიერებმა შექმნეს, სინთეტური ანალოგია განსაკუთრებული ჰომონისა, რომელიც კანის უჯრედებში პიგმენტ მელანინის სინთეზს უზრუნველყოფს. პრეპარატის პოპულარობა იმან განაპირობა, რომ პიგმენტაციას ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედების გარეშე იწვევს. მელანოთანი განსაკუთრებით აშშ-სა და ევროპული ქვეყნების მცხოვრებთ მოეწონათ. პიგმენტაცია პირველი ინექციიდან ერთ კვირაში მიიღწევა, საჭირო შეფერილობის მისაღებად კი კვირაში ერთხელ მაინცაა საჭირო ინექციის გაკეთება. ნამზეურის მიღების საშუალო კურსი, რომელიც ორ თვეს გრძელდება, 45 დოლარი ღირს. ამ მეთოდით გარუჯვის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ასე კანის სიმსივნის განვითარება შეუძლებელია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მელანოთანი, როგორც ყველა ახალი პრეპარატი, ბოლომდე არ არის შესწავლილი.





# რა ღირს უძველესი კონიაკი?

ალკოჰოლური სასმელის სამყაროში ბევრი ეგზოტიკის ნახვა და დაგემოვნებაა შესაძლებელი, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე ძველი და შესაბამისად, ყველაზე ძვირი კონიაკი — ჭეშმარიტად დაუვიწყარი სიამოვნებაა. საამისოდ კი, სქელი საფულე და აუქციონში მონაწილეობა სულაც არ არის საჭირო, უბრალოდ, ლონდონის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროს უნდა ეწვიოთ. დღემდე მსოფლიოში ყველაზე ძვირ კონიაკად „მაგნუმი — შავი მარგალიტი" მიიჩნეოდა — ამ სასმელის ერთი ულუფა 2500 დოლარი ღირდა, ხოლო მისი უნიკალური გრაფინის ღირებულება 80 ათას დოლარს აღწევდა. ეს რეკორდი Lanesborough Hotel-ის ახალმა „ვარსკვლავმა" მოხსნა. საკუთარი კლიენტების დახვეწილი გემოვნების დასაკმაყოფილებლად ოტელმა ყველზე ძველი კონიაკი შეიძინა, რომელიც 1770 წელსაა ჩამოსხმული. ამ ექსკლუზიური სასმელის ერთი ულუფა 4 ათასი გირვანქა სტერლინგი (6 ათასი დოლარი) ღირს. ეს ყველაფერი კი იმაზე მიუთითებს, რომ მსოფლიოში არიან ადამიანები, ვინც მზადაა, რამდენიმეწამიან სიამოვნებაში ამხელა თანხა გადაიხადონ. შესანიშნავი სასმელის დაგემოვნების შემდეგ, კლიენტმა დრო რომ ასეთივე დახვეწილ გარემოში გაატაროს, სასტუმროს ბარში სპეციალური ოთახიც მოაწყვეს სიგარის მოსაწევად, რომელიც პირველია ლონდონის ოტელებს შორის.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 6 | 9 | 7 | 4 | 1 | 3 | 2 |
| 1 | 3 | 2 | 8 | 6 | 5 | 9 | 7 | 4 |
| 4 | 7 | 9 | 2 | 1 | 3 | 8 | 6 | 5 |
| 3 | 1 | 5 | 4 | 2 | 6 | 7 | 9 | 8 |
| 2 | 4 | 8 | 7 | 9 | 1 | 6 | 5 | 3 |
| 9 | 6 | 7 | 5 | 3 | 8 | 4 | 2 | 1 |
| 7 | 8 | 4 | 6 | 5 | 2 | 3 | 1 | 9 |
| 6 | 2 | 3 | 1 | 8 | 9 | 5 | 4 | 7 |
| 5 | 9 | 1 | 3 | 4 | 7 | 2 | 8 | 6 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 9 | 2 | 5 | 1 | 4 | 8 | 7 | 3 |
| 8 | 1 | 7 | 3 | 6 | 2 | 9 | 5 | 4 |
| 5 | 4 | 3 | 9 | 8 | 7 | 2 | 6 | 1 |
| 1 | 3 | 6 | 4 | 9 | 8 | 5 | 2 | 7 |
| 7 | 8 | 4 | 2 | 5 | 1 | 6 | 3 | 9 |
| 2 | 5 | 9 | 7 | 3 | 6 | 4 | 1 | 8 |
| 9 | 7 | 5 | 6 | 4 | 3 | 1 | 8 | 2 |
| 3 | 6 | 1 | 8 | 2 | 9 | 7 | 4 | 5 |
| 4 | 2 | 8 | 1 | 7 | 5 | 3 | 9 | 6 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 1 | 9 | 4 | 8 | 3 | 5 | 6 |
| 6 | 9 | 3 | 5 | 2 | 1 | 4 | 8 | 7 |
| 5 | 8 | 4 | 3 | 7 | 6 | 9 | 2 | 1 |
| 4 | 3 | 2 | 1 | 8 | 9 | 7 | 6 | 5 |
| 1 | 6 | 9 | 4 | 5 | 7 | 2 | 3 | 8 |
| 8 | 5 | 7 | 2 | 6 | 3 | 1 | 9 | 4 |
| 9 | 4 | 8 | 7 | 3 | 5 | 6 | 1 | 2 |
| 7 | 1 | 6 | 8 | 9 | 2 | 5 | 4 | 3 |
| 3 | 2 | 5 | 6 | 1 | 4 | 8 | 7 | 9 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 9 | 6 | 1 | 4 | 2 | 3 | 7 | 8 |
| 8 | 7 | 4 | 6 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 4 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 6 | 7 |
| 2 | 8 | 9 | 7 | 6 | 4 | 1 | 3 | 5 |
| 6 | 1 | 7 | 8 | 3 | 5 | 9 | 4 | 2 |
| 1 | 4 | 5 | 3 | 2 | 8 | 7 | 9 | 6 |
| 9 | 6 | 8 | 5 | 7 | 1 | 4 | 2 | 3 |
| 7 | 3 | 2 | 4 | 9 | 6 | 5 | 8 | 1 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 1 | 8 | 7 | 6 | 4 | 5 | 3 | 2 |
| 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 4 |
| 2 | 4 | 3 | 9 | 5 | 8 | 1 | 7 | 6 |
| 4 | 5 | 6 | 2 | 3 | 9 | 8 | 1 | 7 |
| 3 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 | 4 | 9 | 5 |
| 8 | 9 | 7 | 1 | 4 | 5 | 6 | 2 | 3 |
| 1 | 3 | 4 | 6 | 8 | 2 | 7 | 5 | 9 |
| 6 | 7 | 9 | 5 | 1 | 3 | 2 | 4 | 8 |
| 5 | 8 | 2 | 4 | 9 | 7 | 3 | 6 | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 9 | 7 | 8 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 6 | 7 | 5 | 4 | 3 | 1 | 2 | 9 | 8 |
| 8 | 4 | 3 | 5 | 2 | 9 | 1 | 7 | 6 |
| 9 | 3 | 4 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 5 | 8 | 7 | 6 | 4 | 3 | 9 | 2 | 1 |
| 2 | 1 | 6 | 9 | 7 | 5 | 8 | 3 | 4 |
| 4 | 9 | 1 | 8 | 6 | 2 | 3 | 5 | 7 |
| 3 | 6 | 2 | 1 | 5 | 7 | 4 | 8 | 9 |
| 7 | 5 | 8 | 3 | 9 | 4 | 6 | 1 | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 7 | 1 | 5 | 4 | 9 | 8 | 6 |
| 1 | 9 | 8 | 3 | 2 | 6 | 5 | 7 | 4 |
| 6 | 5 | 4 | 9 | 8 | 7 | 3 | 2 | 1 |
| 4 | 1 | 9 | 2 | 7 | 5 | 8 | 6 | 3 |
| 2 | 8 | 3 | 6 | 9 | 1 | 4 | 5 | 7 |
| 7 | 6 | 5 | 8 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 9 | 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 1 | 4 | 8 |
| 8 | 4 | 2 | 7 | 1 | 9 | 6 | 3 | 5 |
| 5 | 3 | 1 | 4 | 6 | 8 | 7 | 9 | 2 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 2 | 6 | 9 | 3 | 1 | 4 | 8 | 7 |
| 8 | 1 | 9 | 7 | 4 | 6 | 5 | 2 | 3 |
| 7 | 4 | 3 | 8 | 5 | 2 | 1 | 6 | 9 |
| 2 | 3 | 1 | 6 | 9 | 8 | 7 | 5 | 4 |
| 9 | 8 | 4 | 5 | 2 | 7 | 6 | 3 | 1 |
| 6 | 7 | 5 | 4 | 1 | 3 | 8 | 9 | 2 |
| 4 | 9 | 2 | 1 | 6 | 5 | 3 | 7 | 8 |
| 3 | 6 | 8 | 2 | 7 | 4 | 9 | 1 | 5 |
| 1 | 5 | 7 | 3 | 8 | 9 | 2 | 4 | 6 |

მე-10 გვერდი: 1. პასტორი; 2. ორატორი; 3. პრაღა; 4. საჩმო; 5. ოლიგოფრენია; 6. ირინე; 7. ოკულტიზმი; 8. ამიაკი; 9. ოფურო; 10. ირაო; 11. მარჩბივი; 12. ბატალია; 13. რუანი; 14. ნირი; 15. ფურისულა; 16. ინანთეული; 17. სამთავისი; 18. მეი; 19. მოსკიტი; 20. პავლე; 21. გაბორონე; 22. უფა; 23. ნაკიანი; 24. „გზა"; 25. აინი; 26. არმაღანი; 27. მაია; 28. პეტრარკა; 29. ნეი; 30. მაჩეტე; 31. მნათე; 32. მოდა; 33. ლივ; 34. მაწონი; 35. ოტო; 36. ჩერჩილი; 37. ტოტია; 38. ტაეპი; 39. ერვე; 40. ტუში; 41. მეფე; 42. ინა; 43. პეტრიწონი; 44. თია; 45. ღომი; 46. როდ; 47. ოტია; 48. პიანო; 49. საიტი; 50. სოლ; 51. ეშაფოტი; 52. მატე; 53. რე; 54. ჩოპი; 55. სან; 56. მედეა; 57. ძი; 58. ილფი; 59. ფაი; 60. იმედაძე; 61. „აია"; 62. ნადიმი; 63. სნო; 64. ბმო.

მე-12 გვერდი: 1. ფოსტა; 2. ფოლადი; 3. სერგეენკო; 4. ამპლიტუდა; 5. ფრესკა; 6. რულონი; 7. სათვალე; 8. ადრესი; 9. რკალი; 10. პაროლი; 11. ალათაუ; 12. ჯეირანი; 13. მილიონი; 14. შოუ; 15. ეკი; 16. ანჯამა; 17. აგუნა; 18. ანჟუ; 19. იელი; 20 კლიო; 21. შიიზმი; 22. რაჟა; 23. კლეი; 24. ანი; 25. დროშა; 26. ასუნსიონი; 27. შხარა; 28. იდა; 29. ენა; 30. იაუნდე; 31. იოტა; 32. ვუნდერკინდი; 33. ტრემბიტა; 34. როსტევანი; 35. ნერეიდა; 36. კომა; 37. რეა; 38. მუმია; 39. არზა; 40. დრაჟე; 41. ლამაზისეული; 42. ცილინდრი; 43. დუბლიკატი; 44. ანბანი; 45. ჩიჩერონე; 46. აკმე; 47. რეალია; 48. ჩაი; 49. კარე; 50. ილუმენია; 51. ალა; 52. დუმა; 53. ნარდი; 54. ჩალაღაჯი; 55. დრამა; 56. დეტრიტი; 57. ეტნა; 58. ბაზილიო; 59. მორიელი; 60. სოდომი; 61. რაეო; 62. ლეია; 63. უბე; 64. რეი; 65. ბაო; 66. იქსი; 67. გორდია; 68 როდ; 69. ელი; 70. ბოცა; 71. მარე; 72. ბუდა; 73. „ონა"; 74. ანო; 75. ბრიჯი; 76. და; 77. მოია; 78. ვაი; 79. ძნა; 80. ლირი; 81. დია; 82. ობერონი; 83. ბობ; 84. გრაცე; 85. ალაო; 86. რუ.

1. ილიას ერთ-ერთი მოთხრობა
2. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ფეხბურთში
3. ბიჟუტერიის მწარ. ავსტრიული ფირმა
4. ლექსის სხვადასხვა სტრ. ზგერებ. განმეორება
5. „მქსოველი“ მწერი
6. ხმელთაშუა ზღვის ნაწილი
7. უნგრეთის უდიდესი ტბა
8. სასჯელის შემსუბუქება
9. ჭაობის მცენარე
10. აშშ-ს შტატი
11. ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული
12. ნიკოლოზ ბარათაშვილის მეტსახელი
13. პრინტერის ბეჭდვითი მოწყობილ. ელემენტი
14. მუს. ბგერის წყვეტილად გამოცემინება
15. ცხვრის მატყლის ცხიმი
16. ჩეხი ჩოგბურთელი ... ლენდლი
17. მაგარი ქანი
18. ბუჩქი სურნელოვანი ყვავილებით
19. ფრანგი ფეხბურთელი ტიერი ...
20. მსახიობ მანიანის სახელი
21. პურის ნაჭრების „გასახუხებელი“ მოწყობილობა
22. მდინარე ცენტრალურ ევროპაში
23. შეჯიბრების დაწყების მომენტი
24. ავსტრიის დედაქალაქი
25. სამელექტროდიანი ელექტრონმილაკი
26. სპორტული ავტომობილი
27. სასახლე ძველ ქართულში
28. მდინარე ვოლგის შენაკადი
29. ჰოლივუდის ვარსკვლავი რასელ ...
30. ხის ქერქის ჭურჭელი
31. დიზაინ. ელი ...
32. გაზაფხულზე ნაპარსი მატყლი
33. რიგის საფეხბ. კლუბი
34. ჩირქოვანი გამონაყარი კანზე
35. მონასტერი ლანჩხუთის რაიონში
36. შინაური ცხოველი
37. შუა აზიელთა ქეჩის კარავი
38. სასიგნალო ტივტივა წყალზე
39. ფიზიკოსთა ქალაქი რუსეთში
40. სალამურას მეგობარი გოგონა
41. გვადი ბიგვას თხის სახელი
42. მუხის ნაყოფი
43. მუსლიმანთა „მღვდელი“
44. „წყლის სანიტარი“ მოლუსკი
45. საოპერო პარტია
46. მთის თუთიყუში
47. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
48. ქართული ანბანის V ასო
49. მაუგლის მეგობარი პითონი
50. ჯუზეპე ვერდის ოპერა
51. იაპონური საათების მარკა
52. წვრილი ღვედი
53. მელიის „ბინა“
54. მუსიკ. გამის VI ნოტი
55. ხე მაგარნაჭუჭიანი ნაყოფით
56. მორბენ. ფრინველი
57. ხვადის ანტონიმი
58. მიმართვა პოლონელი მამაკაცისადმი
59. შიშველი სხეული ფერწერაში
60. კოსმეტ. ფირმა „... ლაუდერი“
61. კათოლიკური წირვა
62. ჭექა-ქუხილის ღმერთი ვედიზმში
63. პატარა საწნახელი
64. ფილიპინების უმაღლესი მწვერვალი
65. ძვ. ფრანგული სიგრძის ერთეული
66. მახრჩობ. გველი
67. ყაჩაღთა ჯგუფი
68. უმცირესი შვიდნიშნა რიცხვი



# მიირთვით თევზი „სუნამოთი“



ბრიტანული ქალაქის, პოპემის ელიტური რესტორნის — Little Chef მენიუში უჩვეულო კერძი გაჩნდა. ცნობილი შეფ-მზარეულის, ბლუმენტალის მიერ მოფიქრებული საჭმელი ტრადიციული ინგლისური კერძის — თევზისა და ჩიფსის ინტერპრეტაციაა, პროდუქტს კი პიკანტურობას სპეციალური „სუნამო“ სძენს. პარფიუმირებული თევზის გარდა, მზარეულმა რესტორნის მენიუს სხვა არატრადიციული კერძებიც შესძინა, როგორიცაა მაგალითად, ფაფა ლოკოკინებისგან ან ნაყინი ბეკონისა და კვერცხისგან. ისინი დაწესებულების სავიზიტო ბარათად იქცა. თევზი და ჩიფსი კი, სუფრაზე სპეციალურ ფლაკონთან ერთად მიაქვთ, რომელშიც ოდეკოლონია სოუსის სურნელით. ვიდრე კერძის ჭამას შეუდგებით, სანელებელი, რომელიც ხახვის მარინადის სურნელს აფრქვევს, ცხვირწინ უნდა აფრქვიოთ. მზარეულის თქმით, ეს სურნელი პროდუქტის გემოს უფრო ამძაფრებს.


Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com


# გაიცხელეთ... ჩუსტი



დიზაინერებმა ახალი ჩუსტი შექმნეს, რომელთა გათბობაც მიკროტალღურ ღუმელშია შესაძლებელი. ჩუსტი Cozy-feet შეგიძლიათ „შეაცხელოთ“ და ფეხზე ისე ჩაიცვათ. ის სპეციალური მასალისგანაა შემუშავებული, რომელიც სითბოს „ისრუტავს“ და დიდხანს ინარჩუნებს. გარდა იმისა, რომ Cozy-feet მშვენივრად ათბობს ფეხებს, გარეგნულადაც საკმაოდ ლამაზია, შეხება კი ძალიან სასიამოვნო. ეს სასწაული-ჩუსტი კარგი საჩუქარი იქნება საახალწლოდ დედის, მეგობრის ან იმ ადამიანებისთვის, ვისაც თქვენი სითბო და მზრუნველობა გინდა აჩუქოთ. სიახლე კი 24 დოლარი ღირს.

# „სამკურნალო“ ლუდი ჩამოასხეს



ამერიკელმა სტუდენტებმა რაისის უნივერსიტეტიდან, სამეცნიერო იდეების კონკურსის ფარგლებში, ახალი ლუდი — BioBeer შექმნეს, რომელიც ადამიანის ორგანიზმს, თურმე სიმსივნისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებისგან იცავს. სტუდენტებმა გენური ინჟინერიის წყალობით, ლუდის საფუარი რესვერატროლით (მას წითელი ღვინო შეიცავს) „აღჭურვეს“. სწავლულები მიიჩნევენ, რომ ეს ნივთიერება ხელს უშლის დიაბეტის, სიმსივნური წარმონაქმნის, ალცჰეიმერისა და სიბერესთან დაკავშირებული სხვა დაავადების განვითარებას. როცა რესვერატროლი ორგანიზმში ხვდება, ააქტიურებს SIRT1-ფერმენტს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნივთიერებათა ცვლაში. სტუდენტების შექმნილი გენმოდიფიცირებული საფუარი თავად გამოიმუშავებს ამ ანტიოქსიდანტს.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | | 4 | | | | |
| 5 | | 8 | | 3 | 2 | 4 | | |
| | | | | | | | 7 | |
| | | | 5 | | | 9 | | 4 |
| 6 | 1 | | | | | | 2 | 3 |
| 3 | | 5 | | | 4 | | | |
| | 3 | | | | | | | |
| | | 6 | 4 | 7 | | 8 | | 1 |
| | | | | 5 | | 7 | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 3 | | 1 | |
| | | | | | 7 | 5 | 4 | 3 |
| | | 1 | | 5 | | 7 | | 6 |
| | 1 | | | | 8 | 3 | | 4 |
| | 9 | | | | | | 2 | |
| 8 | | 5 | 2 | | | | 7 | |
| 1 | | 4 | | 3 | | 9 | | |
| 9 | 6 | 3 | 1 | | | | | |
| | 7 | | 4 | | | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | | 5 | 2 | 1 | 7 | |
| | | | | | | | 5 | 3 |
| 8 | 1 | | | | | | 2 | |
| 7 | | | | 4 | 5 | | | |
| | | | | | | | | |
| | | | 9 | 8 | | | | 5 |
| | 2 | | | | | | 3 | 4 |
| 4 | 8 | | | | | | | |
| | 7 | 1 | 5 | 3 | | | 6 | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 4 | 3 |
| | | | | 7 | | 2 | | 9 |
| 2 | | | | 5 | 4 | 6 | 8 | |
| | | 8 | | | | | | |
| | | 3 | 1 | 2 | 8 | 9 | | |
| | | | | | | 3 | | |
| | 9 | 5 | 7 | 3 | | | | 4 |
| 7 | | 1 | | 9 | | | | |
| 4 | 3 | | | | | | | |



## კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს ვაქცინით შეებრძოლებიან

ჰოპკინსის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ახალი ვაქცინა შეიმუშავეს, რომელიც ზრდის კუჭქვეშა ჯირკვლის სიმსივნის მგრძნობელობას იმუნოთერაპიის მიმართ. კიბოს ეს სახეობა ერთ-ერთი ყველაზე ავთვისებიანია და რთულად ექვემდებარება სტანდარტულ მკურნალობას. დიაგნოზის დასმის შემდეგ, პაციენტთა 5%-ზე ნაკლები ცოცხლობს 5 წლის განმავლობაში. დღეს ერთადერთი ეფექტური მკურნალობა სიმსივნის ამოკვეთა და ძლიერი ქიმიოთერაპიაა, რადგან იმუნოთერაპია, რომელიც გვერდით მოვლენებს შეამცირებდა და მდგომარეობას სასიკეთოდ შემოაბრუნებდა, პრაქტიკულად, უძლურია. ახალი ვაქცინა GVAX კი საშუალებას იძლევა, სიმსივნის უჯრედების გადაპროგრამება მოხდეს და ისინი იმუნური სისტემის T-უჯრედებისთვის „ხელმისაწვდომი" გახდეს. ვაქცინა სიმსივნის გაუვნებელყოფილი უჯრედებისგან მზადდება და ორგანიზმს „ასწავლის". ამის წყალობით იზრდება იმუნომასტიმულირებელი პრეპარატების ეფექტურობაც. ახალი ვაქცინის შემქმნელი სწავლულები ამტკიცებენ, რომ მათ, ფაქტობრივად, იმუნოთერაპიის ახალი მეთოდი შეიმუშავეს. ასეთი მიდგომა,. მათი აზრით, არა მხოლოდ კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს მკურნალობის ეფექტურობას აამაღლებს, არამედ იმუნოთერაპიით კიბოს სხვა მდგრადი სახეობების მკურნალობაც შესაძლებელი იქნება.

## ფასტფუდი ნაწლავების დაავადებას იწვევს



კვების მავნე პროდუქტი და ანტიბიოტიკები სულ უფრო ზრდის ახალგაზრდა ადამიანების რაოდენობას, რომელთაც კრონის დაავადება — საჭმლის მომნელებელი სისტემის საშიში სენი სჭირთ. ამჟამად ამ დაავადების გამო ჰოსპიტალიზაცია სამჯერ მეტ ახალგაზრდას სჭირდება, ვიდრე 10 წლის წინ. კრონის დაავადება საკვების მომნელებელი ტრაქტის ანთებას იწვევს, ხელს უწყობს დიარეას, ტკივილს მუცლის არეში, დაღლილობასა და სისხლდენას. პაციენტებს ნაწლავების მიკროფლორა შეცვლილი აქვთ და დაავადებას ვერ კურნავენ. რაც შეეხება მავნე პროდუქტს, რომელიც განსაკუთრებით მდიდარია ცხოველური ან ნაჯერი ცხიმებით, ჯერჯერობით მათსა და კრონის დაავადებას შორის პირდაპირი კავშირი არ დადგენილა, თუმცა სპეციალისტები თანხმდებიან იმაზე, რომ გარეფაქტორები უფრო ართულებს ამ დაავადებისადმი მიდრეკილი ადამიანების მდგომარეობას და არასწორ კვებასაც, ამ მხრივ, საკუთარი „წვლილი" შეაქვს.

## თმის ამოყვანის ახალი მეთოდი შექმნეს



ამერიკელმა მკვლევარებმა კოლუმბიის უნივერსიტეტიდან გამელოტების სამკურნალო ახალ მეთოდს მიაგნეს, რომელიც თმის გადანერგვას არ მოითხოვს. სწავლულთა განცხადებით, გამელოტებას შესაძლოა, თმის ახალი ბოლქვების გამოყვანით შევებრძოლოთ. ჩვენი მეთოდი საშუალებას იძლევა, ბევრი ახალი თმის ფოლიკულა შევქმნათ და აღვადგინოთ უკვე არსებულიც, მხოლოდ რამდენიმე დონორული თმის გამოყენების საშუალებით. ტრანსპლანტაცია ხელმისაწვდომი იქნება იმ ადამიანებისთვის, ვისაც ფოლიკულების შეზღუდული რაოდენობა აქვს, — აცხადებენ სწავლულები. ადრე მეთოდი მხოლოდ მღრღნელებზე მოქმედებდა წარმატებით, თუმცა შემდეგ მეცნიერებმა მიაგნეს შეცდომას ექსპერიმენტისას და, მოგვიანებით, კლინიკური ცდებიც წარმატებით დასრულდა. თეორიულად, ერთადერთი ფოლიკულიდან შესაძლებელია უამრავი სფერიდის მიღება და მერე ურიცხვი რაოდენობის თმის აღდგენა, — ამტკიცებენ სწავლულები. დღეისთვის კი გამელოტებას, ძირითადად, სხეულის თმიანი ნაწილიდან გაცვენილ ადგილზე თმის (ბოლქვების ან ფოლიკულების) გადანერგვით მკურნალობენ. ამასთან პაციენტს უამრავი ჯანმრთელი თმა უნდა ჰქონდეს.

## რძე გახდომაში დაგეხმარებათ

ამერიკელი მკვლევარები გვირჩევენ, წონაში დასაკლებად დღეში ორი ჭიქა რძე დავლიოთ, ეს მეთოდი ორგანიზმს არავითარ პრობლემას არ უქმნის. სპეციალისტებმა კვლევა 40-დან 65 წლამდე ასაკის მამაკაცებსა და ქალებზე ჩაატარეს. მათ ორი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. ექსპერიმენტში მონაწილე ყველა პირი ზედმეტ წონას უჩიოდა. ორწლიანი დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ გახდნენ და მათ ჯანმრთელობას არავითარი საფრთხე არ შექმნია. რძის საშუალებით დაკლებას ფასეული მნიშვნელობა აქვს ორგანიზმისთვის. ექიმები განმარტავენ, რომ წონაში კლების პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს, ადამიანის ორგანიზმს კი სტრესისგან იცავს, ცხიმებს წვავს და კანიც ლამაზად გამოიყურება.



## სისხლში შაქრის დონეს ავტომატურად შეინარჩუნებენ



ინჟინერმა ბოსტონის უნივერსიტეტიდან ედ დამიანომ შექმნა მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად ინარჩუნებს სისხლში შაქრის საჭირო დონეს. მოწყობილობამ, რომელიც ინსულინისა და გლუკაგონის ჰორმონების დონეს არეგულირებს, უკვე გაიარა გამოცდა 52 მოხალისეზე. კომპიუტერული პროგრამა, რომელიც პროცესს მართავს, iPhone 4S-ის ბაზაზე მუშაობს. კომპლექტში შედის ასევე ორი „პომპა" ინსულინისა და გლუკაგონის მისაწოდებლად, თითოეული მობილური ტელეფონის ზომისაა. გამომგონებელი იმედოვნებს, რომ უახლოესი სამი წლის განმავლობაში მოწყობილობას აშშ-ს პროფილური უწყება ოფიციალურად დაამტკიცებს. აღსანიშნავია, რომ დამიანოს შვილი დიაბეტიანია და მამა იმედოვნებს, რომ მის ქმნილებას შვილი გამოიყენებს, როცა კოლეჯში სასწავლებლად წავა.





1. სპორტული ცურვის ხერხი
2. რეგულარული შემოსავალი კაპიტალიდან
3. გამოცდების პერიოდი ინსტიტუტში
4. ფინური აბანო
5. მტრული დამოკიდებულება ებრაელთა მიმართ
6. მწყემსის მოსასხამი
7. ბერძნული ანბანის მეორე ასო
8. ხევისბერი გოჩას ვაჟი
9. მაცივრის ნაწილი, საორთქლებელი
10. ორსული საქონელი
11. კუკის კუნძულების დედაქალაქი
12. რუსი პოეტი
13. ყურძენ იზაბელას მეორე სახელი
14. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
15. ხელის საგრილობელი
16. კიდევ, ხელახლა
17. მადამ ბოვარის სახელი
18. ახალი ტანსაცმელი ბავშვის ენაზე
19. დიდი ესპანელი ფერმწერი
20. სახელდახელოდ თქმული სატირული ლექსი
21. შუა სს-ის დას. ევროპის შემსწავლელი მეცნიერება
22. ქართველი მოჭადრაკე ქალი
23. მსახიობი რობერტ დე ...
24. თაყვანისცემა ან სინანულით შევრდომა
25. ის, ვინც მარცხენა ხელით წერს
26. ჩინეთის დიდი კედლის ამგები იმპერატორი
27. სახმარად გამოუს., მაგრამ ნედლეულად ვარგისი ნივთები
28. მთელი კოლექტივის გადაყვანა რაიმე სასწრაფო სამუშაოზე
29. სუსტი, ერთნახადი არაყი
30. პარიზის აეროპორტი
31. ძველი ფრანგული სიგრძის ერთეული
32. ქართული დასახლება ბამ-ზე
33. სამი წერტილი კამათელზე
34. ღმერთის მთავარი ანტაგონისტი
35. სანელებელი მცენარე
36. ჯავშნიანი ქვეწარმავალი
37. „ვეფხისტყაოსნის" უნგრელი ილუსტრატორი
38. გოგიას სატრფო ფილ. „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"
39. ძველი, გაფუჭებული ღვინო
40. სუსტი ქარი, სიო
41. საუბარი ჟურნალისტთან
42. ზიტას ტყუპისცალი და ინდურ ფილმში
43. ფუნქციური ნერვულ-ფსიქიკური დაავადება
44. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება
45. პელიკანის ქართული სახელწოდება
46. მოლა, რომელიც მინარეთიდან მოუხმობს მუსლიმანებს სალოცავად
47. თმის მცენარეული საღებავი
48. იტალიური ნუშის ლიქიორი
49. ქვეყანა გვინეა-...
50. ბავშვის შქასშინ. საფრთხ.
51. იგივეა, რაც მაგნიტი
52. ბევრი თვალის მქონე გოლიათი ბერძნ. მით.
53. ეროვნული გმირი ... ოძელაშვილი
54. გაზაფხულის ყვავილი
55. იგივეა, რაც თეფში
56. დიდი ზომის ქვეწარმავალი
57. წარსულში ცნობილი ლიბერიელი ფეხბურთელი
58. გასეირნება ბავშვის ენაზე
59. აშშ- ს კოსმოსური სააგენტო
60. „მაცი ხვიტიას" ავტორი ... ფურცელაძე
61. წყალქვეშა კლდე
62. შეიარაღებული ბრძოლა ქვეყნებს შორის
63. ძვ. სკანდინავ. ეპიკური ლიტერატურის ძეგლი
64. აღმოს. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი
65. ტროპიკული დიარეა
66. ინდოელი მოჭადრაკე, დიდოსტატი
67. ტანსაცმლის გარკვეული მოდელი
68. დეკორატ. მიზნით სხეულის ქსოვ. გახვრეტა
69. პატარა გლისერი კიდული ძრავით
70. არაბული ფლეიტა
71. ინდური ეპოსის გმირი
72. ბალეტის ერთ-ერთი ძირითადი მუსიკალურ-საცეკვაო ფორმა
73. ტეხასის შტატის დედაქალაქი
74. სწორი ხაზი სამკუთხედის წვეროდან მოპირდაპირე გვერდის შუა წერტილამდე
75. რუსეთის ეროვნული ვალუტა
76. პიტალო კლდე
77. იაპონელთა ჯიბის ყუთი
78. „ბითლზის" წევრი რინგო ...
79. საბერძნეთის კუნძული
80. მხარე დასავლეთ საქართველოში
81. ცეცხლის მნათი ნაწილი



# ჩვილი ინტერნეტით გაყიდეს

ბელგიური მედია იუწყება, რომ ადგილობრივმს წყვილმა ახალშობილი ინტერნეტით, უშვილო ჰოლანდიელ წყვილს მიყიდა. როგორც ამბობენ, ასეთ ნაბიჯზე ჩვილის 22 წლის დედა და 24 წლის მამა, რომელთაც ერთი შვილი უკვე ჰყავდათ, ფინანსური სირთულის გამო წავიდნენ. ბელგიელი სამართალდამცავების განცხადებით, გამყიდველ-მშობლებს ერთი თვიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელით იმის გამო, რომ ბავშვის დაბადების შემდეგ, ჰოლანდიელ მშობლებს, კანონდარღვევით, ჩვილის მათი გვარის ტარების უფლება მისცეს. რა თანხა აიღო დედ-მამამ ბავშვის გაყიდვაში, მედიისთვის უცნობია.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.